

5490

26

1865

ГРУЗИНСКІЙ

ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

1865.

АПРѢЛЬ.



საქართველოს

სახულიერო მახარებელი.

სპირიტი.

ჩუგუაძე.

ТИФЛИСЪ.

ВЪ ТИПОГРАФІИ А. ЭНФІАДЖІАНЦА и К-о.

ПОДПИСКА

НА

„ГРУЗ. ДУХ. ВПЬЕТНИКЪ“

продолжается.

Журналъ издается съ іюля 1864 года, по утвержденной Святѣйшимъ Синодомъ программѣ.

Подписка принимается въ редакціи сего журнала, при Тифлисской духовной семинаріи, на имя редактора. Цѣна за годовое изданіе журнала, т. е. за 12 кн., съ доставкою на домъ и пересылкою вовсѣ города. 5 р. сереб., безъ доставки и пересылки—4 р. с.; за одни прибавленія на русск. яз.—1 р. с.

ხელის-მწერს ყუჩნაღზედ მიიღება ტფილისის სემინარიაში, რედაგტორის სახელზედ. ფასი წლის ყუჩნაღისა, ესე იგი 12 წიგნისა, შინ მიტანით და სხუა ქუჩუენებში გაგზავნით ხუთი მანეთი; მიუტანელად და გაუგზავნელად ოთხი მან., მარტო რუსულისათჳს ერთი მანეთი.

კანონი

მოკლე ადგილ-სასმენელი საღმრთო ისტორიის ახალ-მოსწავლეთა ყრმათათვის.



კითხვა. რა არის საღმრთო ისტორია ?

პიკება. საღმრთო ისტორია არის მოთხრობა უწარჩინებულესთა შემთხვევათა, ეკლესიასა შინა ღუთისასა ქმნილთა, ქვეყნის დაარსებიდგან ჩუზნ დროებადინ, შედგენილი, საღმრთო წერილისაგან.

კით. რაგდენ ზ ი რ ე ო დ ა თ (1) განიყოფება საღმრთო ისტორია ?

პიკ. შვიდ ზერიოდათ.

პირველი ზერიოდი არის სოფლის შექმნიდგან წარღვნამდინ და შეიცავს თვის შორის 2262 წელსა.

მეორე, — წარღვნიდგან აბრამამდინ შეიცავს 1147 წ.

(1) ზ ე რ ი ო დ ი არის დრო, განუღილი ხალხის ცხოვრებაში ერთის შესანიშნავის და წარჩინებულის. შემთხვევიდგან მეორე ამისთანავე შემთხვევამდინ.



მესამე, — აბრამიძგან ვიდრე ისრაელთ გამოსვლამ-
დინ ეგვიპტიდგან — 430 წ.

მეოთხე, — ებრაელთ გამოსვლიდგან ეგვიპტით ვიდრე
საულ მეფედმდე — 550 წ.

მეხუთე, — საულ ებრაელთ მეფიდგან ბაბილონის
ტყუობამდინ, — 513 წ.

მექვსე, — ბაბილონის ტყუობიდგან ქრისტეს შო-
ბამდინ — 606 წ.

მეშვიდე შეიცავს დროსა განვლილსა ქრისტეს შო-
ბიდგან ჩუწნს დროებამდინ.

პ ი რ ვ ე ლ ი პ ე რ ი მ დ ი .

ქვეყნის შექმნიდგან წარღვნამდინ — 2262 წ.

კით. ვინ შექმნა ქვეყანა ?

მიგ. ღმერთმან შექმნა მრთელი ქვეყანა ანა რაღსა-
გან ექვს დღეს. პირველად მან შექმნა ცაჲ, ესე
იგი, უხილავი ქვეყანა და მიწა, ე. ი. უძთავ-
რესნი ს ტ ი ხ ი ა ნ ი (1), რომლებსაგანაც უნდა

(1) ს ტ ი ხ ი ე ბ ი ეწოდება იმ მასალაებს რომელთაგანაც შედგენილია
ხილული ესე ბუნება ე. ი. მიწას, წყალს, ცეცხლს, ჭაქს და სხვ.

შემდგარ იყო ხილული ბუნება. შემდგომ შექმნა
ნათელი; ამ ჰირველად გამოჩენილს ნათელს ეწო-
და ჰირველი დღე. მეორე დღეს ღმერთმან შექმნა
სამყარო, ე. ი. ხილული ჰაეროვანი ცა. მესამეს
დღეს, განყო მან წყალი ხმელეთისაგან; ხმელეთს
უწოდა მიწა, ხოლო შეკრებულთა წყალთა ერთად
უწოდა სახელად: ზღვები, მდინარეები, წყაროები და
სხვ; შემდგომ უბრძანა მიწასა აღმოცენება ხეთა და
მცენარეთა. მეოთხესა დღესა შექმნა მზე, მთოვარე და
ვარსკვლავნი. მეხუთესა,—თევზნი და ფრინველნი.
მექვსესა,—ჰირუტევი, მცხოვრებნი ხმელეთსა ზე-
და, ხოლო უკანასკნელ შექმნა ღმერთმან კაცნი მი-
წისაგან მკვავსებად თვსად, შთაბერა მას სული
უკვდავი და უწოდა სახელად ა დ ა მ ი.

მეშვიდესა დღესა ღმერთმან განისვენა ეოველთა
საქმეთა თვსთაგან, ე. ი. დასცხრა ანუ უკუ-ჰსდგა
ქმნად.

კით. სად დაუნიშნა ღმერთმან კაცსა ბინა შემდგომ შე-
ქმნისა ?

მივ. ღმერთმან დაუნიშნა ადამს ადგილი საცხოვრებელად ქვეყნიურს სამოთხეში, ანუ მშვენიერს ბაღში, რომელშიაც იხრებოდნენ სხუა-და-სხუა ნაირნი ხეხილნი და ფერად-ფერადნი მცენარენი, ნება მისცა მას ჭამა ყოველის ხის ნაყოფისა, რომელნიც იყვნენ სამოთხეში, მხოლოდ არ უნდა შესებოდა ხესა ცნობისა კეთილისა და ბოროტისა, რომელიც იდგა საშუალ სამოთხისა. ღმერთმან უბრძანა მას რათა არა ჭსჭამოს იმ ხის ნაყოფი, და უკეთუ ჭსჭამოს მსწრაფლ სიკვდილითა მოჰკვდეს.

კით. როგორ შექმნა ღმერთმან ჰირველი დედა-კაცი ?

მივ. ღმერთმან მოუვლინა ღრმა მილი ადამს; იმ მილის ღრმს გამოუღო მას ერთი კვერდი, და იმისაგან შექმნა ღმერთმან ჰირველი დედა-კაცი. შემდგომ აკურთხა ღმერთმან ადამ და ევა ამ სიტყვით: «აღორძნდით და განძრავდით, აღავსეთ ქვეყანა და სუფევდით ყოველთა ქმნულებათა ზედა სოფელსა შინა.» ადამსა და ევას არა ჰქონდათ

აწა ვითარძემე საჭიროება; ვერ ავნებდა მათ ვერც
სიცხე, ვერც სიცივე და ვერც ცუდი ჭაერი, ამი-
ტომ იუვენ ივინი სრულიად ბედნიერი და ნე-
ტარნი.

კით. დიდ ხანს იუვენ თუ აწა ადამ და ევა ამ სა-
ნატრელ მდგომარეობაში და ბედნიერებაში ?

მიკ. ივინი დიდხანს აწა ჭხარობდნენ იმ მშვენიერ
სამყოფში. ეშმაკმან შეიშურვა წა კეთილ-დღეობა
და ბედნიერებითი ცხოვრება მათი, კველის სახით
მიეახლა ევას და დააწმუნა, რომ უკეთუ ივინი
აღკრძალულ ხილს შესჭამენ, შეიქმნებიან ღმერ-
თის მსგავსნი. ევა შესცთა ეშმაკის მცბიერი სიტ-
ყუებითა,—თვითონაც შესჭამა, და დაუყოვნებლივ თა-
ვისი ქმარი—ადამიც გახადა მონაწილე ამ ცოდ-
ვისა,—ასე რომ ოწნივე გარდახდნენ და დააწღვი-
ეს მცნება შემოქმედისა თვისისა.

კით. რითი დასაჯა ღმერთმან ადამ და ევა მისი მცნე-
ბის დაწღვევისა-თჳს ?

მიკ. ღმერთმან დასაჯა ივინი ჯერ წუევითა და სნე-

ულებითა და უკანასკნელ სიკვდილითა, ასე რომ ადამ და ევა მათი შვილის-შვილით და შთამამავლობით შეიქმნენ მომაკვდავნი.

კით. რითა ჭსცა ღმერთმა ნუგეში ამგვარს მათს უბედურს მდგომარეობაში ?

მიგ. უფალმა თავისი გამოუთქმელის კაცთ-მოევარებით არ ინება, რომ სიკვდილს საუკუნოდ შეეზღუდოს და შეებრკილებინა კაცთა ნათესავი, ამისთვის აღუთქვა ჩუწნთა ზირველ-მშობელთა მოვლინება მათდამი გამომსხნელისა, რომელიც უნდა შობილ იყო კაცობრივის სხეულითა: თვისითა სიკვდილითა და აღდგომითა შეემუსრა ძალი სიკვდილისა და ეშმაკისა, და დაებრუნებინა კაცთა ნათესავისა-თვის არა მხოლოდ დაკარგული მათ მიერ ნეტარება, არამედ უმეტესიცა.

კით. ვინ იყვნენ ძენი ადამ და ევასნი ?

მიგ. ადამს და ევას ჭყვანდათ სამნი ძენი: კ ა ნ ი, ა ბ ე ლ ი და ს ე ი თ ი. კანნი იყო მიწის მოქმედი ანუ მუშა, ე. ი. ხვნა-და-თესვითა ჭსცხოვრებ-

და, ამისთვის იყო მოუდრეკელი და ბოროტის
 წინაა და ხასიათისა; ხოლო აბელი—მწუემსი ცხო-
 ვართა იყო მშვიდის და კეთილ-მსახურის ყოფა-
 ქცევისა. ამ ორივე ძმათა ერთ დროს შესწირეს
 მსხვერპლი ღმერთსა. კანმა შესწირა ნაყოფი მი-
 წის მოსავლისაგან, ხოლო აბელმა შესწირა ერ-
 თი ჰერძმო ცხვართაგანი. უფალმა უპეტეს შეიწ-
 უნარა მსხვერპლი აბელისა, ვიდრე კანისა. ამა-
 ზედ ისე მოიძულა მან ძმა თვისი აბელი, რომ
 გაიტყუა მინდორზედ და მოკლა იგი. ამ ავაზა-
 კობისა-თვის ღმერთმა დასაჯა კანი, მით რომ-
 ძელ იგი უნდა თრეულ-იყო და ეწანწალნა ქვეყნის
 ჰერზედ და ვერ-სად ეზონა მოსვენება. აბელის
 მაგიერად ღმერთმა მიანიჭა ადამს მესამე შვილი
 ს ე ი თ ი; ამისგან წარმოსდგნენ მამათ-მთავარნი,
 რომელნიც წარღვნის წინ ჰსცხოვრებდნენ: ენოსი,
 კანანი, მალეფილი, იარედი, ენოქი, მათუსალ,
 ლამექ და ნოე.

კით. სეითის მთამაძაულობას რა შეემთხვა ?

მიგ. სეითის შვილმა, ენოსმა, შეჰკრიბა ხალხი მსხვერ-
პლის შესაწირავად. ენოქი, ღმერთის მსახურებისა
და კეთილ-მოქმედებისა-თჳს, სიცოცხლითვე იქმნა
აღტაცებული ზეცად.

მათუსაღმა იცოცხლა უველასედ ბევრი-ხანი ქვე-
ყანასედ 969 წ. სხვანი სეითის შთამამავლობანი იუვენ-
ერთ-გულნი, ღმერთის-მსახურნი, და იმიტომ საღმრთო
წერილში უწოდებენ მათ ღმერთის ძეებად; ხოლო
რადგანაც შთამამავლობა კანისა იყო ბორცის-მსა-
ხური, ამიტომ მათ უწოდებს კაცთა ძეებად;
რადგენიმე ხანის შემდეგ, სულ გაირევენენ, როგორც
ძენი ღმერთისანი ეგრეთვე ძენი კაცთანი და შთაცვიუ-
დნენ უსჯულოებაში და კერძო თაყვანის-ცემაში.

კით. რითი დასაჯა ეს უღმერთო ხალხი ღმერთმან ?

მიგ. წარღვნით გასწევითა ღმერთმან კაცთა ნათესავი.

მხოლოდ ნოე თავის სახლობით გადაჩია კიდობან-
სა შინა, რომელიც მანვე აღაძენა ღმერთის ბრძა-
ნებით, ხომალდის მსგავსად ოთხ-კუთხიანი. ეს კი-
დობანი იყო ფრიად ვრცელი, ასე რომ იმაში

დაეტია ნოე ცოლით და სამი შვილით: სემი, ქამი, იაფეტით და იმათი ცოლებით; ამის გარდა თან შეიყვანა ეველა ნაირი ჰირუტეუნი, რომელთაგან აარჩია თვითონ წუვილი უწმინდური და შვიდ შვიდი წუვილი წმიდათაგან, ანუ ისეთ ჰირუტეუთაგან, რომელნიც საჭმელში იხმარებოდნენ. როდესაც ნოე შევიდა კიდობანში, მაშინ დაიწყო წვიმა და სდიოდა ორმოც დღეს და ორმოც დამეს, ასე რომ თუთ მაღალი მთის წვერები სულ დაიფარნენ წელითა და დედა-მიწის ზურგსეოდ რასაც კი სული ედგა სულ მოიძვინენ. ხუთ თვეს იყო დაფარული წელითა მთელი ქვეყანა; შემდეგ ცოტ ცოტად დაიწყო დაკლება წყალმა და ნოეს კიდობანი დაემო ანარატის მთასეოდ, რომელიც არის სომხეთში. როდესაც რომ დედა-მიწა გაშრა, მაშინ ნოე გამოვიდა კიდობნიდან ცოლ შვილით და ხელი-მიჭყო სახლ კარის და ვენახების გაშენებას.

შეკრუების შედეგად:

წარდგინდეს ახლანდელ-1144 წ.

კით. რა ჰქმნა შესანიშნავი ნოემ, როდესაც კიდობნიდ-
გან გამოვიდა ?

მიგ. ნოე როგორც რომ გამოვიდა კიდობნიდგან, მა-
შინვე სამადლობელი მსხვერპლი შესწირა ღმერთ-
სა; უფალმა ეს მსხვერპლი მიიღო ფრიად სასიამო-
ვნოდ, ამისთვის აკურთხა მან ნოე და აღუთქვა,
რომ შეძრევ ქვეყანასედ აღარ იქმნება ამ გვარი
წუღით რღუნათ, რომლის ნიშნათაც ღმერთმა და-
უწესა მას ცის-სარტყელა.

კით. რა საქმეს მიძარტათ ხელი ნოეს შთამამავლობამ?

მიგ. თუძვა, ღმერთის აღთქმით, წარდგინა აღარ მოვი-
დოდა ქვეყანასედ, მაგრამ ნოეს შთამამავლობას მა-
ინც კიდევ ეგონა, რომ ვითომც ღმერთი ამ გვა-
რივე სასჯელით გასწევებს მათ კიდევ როდისმე
ამისთვის დაიწეს დიდი კოდოლის ანუ ციხის
შენება, რომ უკეთუ წარდგინა მოსულ-იყო ვითამ
იმაში უნდა შეჭვარებოვნენ და გადაერჩინათ თა-

ვები. ამ გვარი ბრევეული და უაზრო მოქმედება
მათი, უეჭველია, რომ ღმერთის აღთქმის წინააღმდეგი
იყო, ამისთვის ღმერთმა აურია მათ ენა, ასე რომ იმათ
ღმერთმანეთისა არა ეუფლებოდნენ, მაშასადამე იძუ-
ლებულ იყვნენ თავი დაენებინათ მუძაობისთვის და
გამბნეულ იყვნენ სხვა და სხვა მხარესა;—ესეც მოხდა!

კით. განბნევის ანუ განცალკევების შემდეგ როგორ
ცხოვრებდა ხალხი ?

მივ. მთელ ქვეყნას ზირზედ გამბნეულმა ხალხმა და-
ივიწია ჭეშმარიტი ღმერთი და მიეცა კერპთ-თა-
ევანისცემას. მზე, მთვარე, ვარსკვლავები და სა-
ზოგადოდ ციური მნათობები, თუ ზირუტეები, ერ-
თის სიტყვით, რისგანაც კი ეძინოდნენ, ანუ სარ-
გებლობას მოელოდნენ,—სულ ეველა, იმათი ფიქ-
რით, ღმერთები იყვნენ. უკანასკნელ დაივიწყეს რა
ჭეშმარიტი ღმერთი, მთაცვივდნენ უღმერთობაში, და
ეველა ნაირ უსამართლობაში და ავაზაკობაში,
მაგრამ რათამცა კაცთა ნათესავში დაცულ იყოს
კეთილ-მსახურება და ცნობა ჭეშმარიტისა ღმთი-

სა, ღმერთმა ინება აღმოჩინევა, საკუთარისა ხალხისა, რომლის მამათ მთავრათაც იყო დანიშნული აბრამი.

შ ე ს ა შ ე ჰ ე რ ი მ დ ი .

აბრამიდან ისრაიტელთ გამოსვლამდინ ეგვიპტით 430 წ.

კით. ვინ იყო აბრამი ?

მიგ. აბრამი იყო ძე თარასი და ჰსცხოვრებდა ქალდეველთ ქვეყანაში, ი რ ი ს ქალაქში; რადგანაც იქ ჰსცხოვრებდა ხალხი კერზ-თაყვანის-მცემელი, ამიტომ ღმერთმა უბრძანა აბრამს დაუტეოს ის ქვეყანა და გარდაესახლოს იქ, სადაც მან ადგილი უჩვენოს. აბრამი დაემორჩილა ღმერთის ბრძანებასა, დაუყოვნებლივ თავის ცოლით და ძმის წყლით — ლოთით აიყარა ქალდეველთ ქვეყნიდან და დაესახლა ქანაანის ქვეყანაში.

კით. ვითარე აღუქმა მისცა აბრამს შემდეგ ქანაანის ქვეყანაში დასახლებისა ?

მიგ. როდესაც აბრამი დაესახლა ქანაანის ქვეყანაში, ღმერთმა აღუთქვა მას განმრავლება შთამამავლო-

ბისა მსგავსად ვარსკვლავთა ცისათა და ქვიშათა
ზღვისათა, წინათ აუწყა, რომ იმის შთამამავლო-
ბიდან იშვება მაცხოვარი სოფლისა, ხოლო აბ-
რასამა თავის მხრით დაუდო ზირობა მარადის
ღუთის მსახურებისა, მოწილეებისა და წმიდის
გულთა აღსრულებისა უოველთა ბრძანებათა მის-
თა. ამ ზირობის ნიშნად და დასამტკიცებელად აბ-
რასამა სულ თავის სახლობით ე. ი. თავის ცოლ-
შვილით და მოსამსახურებით, მიიღო წინადაც-
ხვეთა.

კით. როდესაც აბრასამი ჰსცხოვრებდა ქანაანის ქვეუ-
ნაში, მაშინ რა შეემთხვა მას ?

მიგ. ქანაანის ქვეუანაში აბრასამისა და ლოთის მწეემ-
სებს ჩხუბი მოუვიდათ და რადგანაც არა ჰსურ-
დათ, რომ უსიამოვნობა მომხდარ-იყო უფრო უმე-
ტესი ბიძისა და ძმის-წულის შორის, ამიტომ
მშვიდობიანათ გაუწა ირჩიეს. ლოთი გაუწის შემ-
დეგ წავიდა და სო დო მ ი ს ქალაქის მახლო-
ბელ დაესახლა სულ თავის საკონლით; ამ ქა-

ლაქის მცხოვრებნი იუვენ განკურნილნი და კერპთ-
თაჲვანის-მცემელნი.

კით. გაურის შემდეგ ლოთს ზომ არა ეფიქრებოდა რა
და არ ეძინოდა ვისივე მტრისაგან ?

მივ. როდესაც ლოთი გაეყარა თავის ბიძას აბრაამს
და დაესახლა მახლობელ სოდომის ქალაქისა, მა-
შინ იგი ჩავარდა დიდ ფიქრში და დარდში: იმ
ცოტა დროებაში, როდესაც ლოთი იქ სახლ-კა-
რობას მიეწყო, განემეძო რაც ხელმწიფეები იუვენ
ზირობა შეჰკრეს და ერთად დაეცნენ სოდომის ქა-
ლაქს; სულ მოახრეს აქაურობა და ლოთი თავის
ცოლ-შვილით ტყვეთ წაიყვანეს.

კით. ვიღამ გამოიხსნა ლოთი მტრის ხელისაგან ?

მივ. აბრაამმა როგორც გაიგონა თავის ძმის-წულის
უბედურება, მაშინვე გაემზადა მისაშველებლად და
გამოსახსნელად მისსა. დევნა-უყო თავის მონებით,
მოეწია, დაეცა ერთ ბაშათ, მტერი დაამარცხა, წა-
ართო ლოთი და სულ ეველა დანარბევი გამო-
ურთო. უკან რომ დაბრუნდა აბრაამი, იმას გამო-

ეგება საღიძის ძეგუ და ძღუდელ-ძთავარი ძეღ-
ქისეღეკი, რომელმაც აკურთხა იგი და მი-
ართო მას, ძველებური ჩვეულებისა-ძებრ, ზური და
ღვინო.

კით. რა კვარი სასჯელი მოუვლინა ღძერძმა
სოდომის ძცხოვრებთა ძათისა უსჯულოებასა-
თვს?

ძიკ. რადგანაც იგინი თავიანთის ურიკო და ბილწი
უოფა-ქცევით კარდაეძატნენ ეველა იძა დროის
ქალაქებთ ძცხოვრებთა, ამიტომ ღძერძმა ძართლ-
ძსაჯულძა არ აკძარა სასჯელი, ძხოლოდ მოძაქ-
ცეველი და კასამართველი, ვითარნი იევენენ: ოძი
და მოძხრება იძ ქალაქისა, არამედ უფაღძა კარ-
დასწევიტა თვისითა ძართლ-ძსაჯულებითა, რომ
იგინი აღმოფხუნას სრულიად დედა-ძიწის ჰირიდ-
კან და კანაქროს სახსენებელი ძათი. ძან კარდა-
მოავლინა სოდომის ქალაქსედ წვიძა ცეცხლი-
სა, რომლითაც კარდაიწო სულ ძრთელი ქალა-
ქი თავის ძცხოვრებლებით.

კით. სოდომის მცხოვრებთაგანი ვინ გაწდაურჩა ამ
საშინელს სასჯელსა ?

მიგ. მრთელი სოდომის მცხოვრებთაგან გადარჩა მხო-
ლოდ მარტალი ლოთი, ძმის წული აბრაამისა,
რომელიც ცოლ შვილით გამოიუვანეს წინათვე ან-
გელოსთა უფლისათა იმ ქალაქიდგან. ანგელოსთა
აღუკრძალეს მათ, რომ მოკსაურობის დროს არ
მოიხედონ უკან სოდომისკენ, მაგრამ ლოთის ცოლ-
მა არ დაიჯერა ანგელოსის ბრძანება, და მოი-
სედა რა უკან, მსწრაფლ მარილის ქვათ გაწდა-
იქცა.

კით. ამ დროს რა მოხდა აბრაამის სახლში ?

მიგ. ამ დროს აბრაამის სახლში დაიწყო აღსრულება
ღმრთის აღთქმათა მისდამი: მას გაუჩნდა შვილი
ისაკი, თუმცე სარჩა უკვე იყო ოთხმოც-და-
ათის წლის ბებერი. ისაკისაგან უნდა წარმო-
დგარ იყო უმრავლესი შთამამავლობა და იმათგან
უნდა მიეღოთ კურთხევა ყოველთა ხალხთა ქვე-
ყანისათა.

მოკლედ აღწერილი ცხოვრება, ვნება და ერთი ძრავალოთა
სასწაულებთაგანი წმიდისა დიდისა მთავარ-მოწამისა,
ძლევა შემოსილისა და საკვრველთ-მოქმედისა გიორგისა.*



წმიდა დიდი მთავარ-მოწამე გიორგი დაიბადა კაპაპადუკიასა შინა ჩი-
ნებულთა მართლ-მადიდებლობის საწმუნოებისა მქონებელთა მშობლებ-
თაგან. დაობდა რა სიყმაწვილეშივე შემდგომ კეთილ-მსახურისა მამისა
თჳსის სიკუდილისა, რომელმანცა მიიღო გვირგვინი წამებისა, გიორგი
იქმნა აღზრდილ დედისა თჳსის მზრუნველობითა. სიჭაბუკესა შინავე იყო
რა მშვენიერი, მტკიცე და ახოვანი, გიორგი შევიდა სამხედრო უწყებაში,
სადაცა შეიქმნა ათასის მთავრად რომის ლეგიონისა, ანუ ჯარისა. ჩინე-
ბულმან და საკვირველმან მამაცობამან მისმან ჯარში, და სამხედრო საქ-
მისა მცოდნელობამან მიანიჭეს მას დიდი ტიტული მხედრობისა და მი-
აქციეს მას ზედა განსაკუთრებითი ყურად-ღება რომის იმპერატორის
დიოკლიტიანესი; გარნა დიდებული მხედარი ქრისტეანის მეთვისა, გიორ-
გი უმეტესად შეიქმნა უწარჩინებულესი მხედარი ზეცათა მეუთვისა. მოი-
ძაგა რა ყოველივე დიდება ქრისტეანისა, იგი, სურვილისა-მებრ თჳსისა, დიღს-
იქმნა ზეციურის საუკუნოებისა დიდებისა.

ერთ-გზის გამოვიდა უქაზი დიოკლიტიანესაგან, რომელიც აღკრძალ-
ვიდა საწმუნოებასა იესო ქრისტეს მიმართ. მხედარმან ძლევა შემოსი-
ლისა გუნდისამან გიორგიმ იგონო, რომ წინა-პირველ სხუათა მას უნ-
და გამოეჩინა ქრისტიანობრივი მამაცობა და ძლიერება. ვინაღვან აღ-
ზრდილი ქრისტეს საღმრთო საწმუნოებაში, გიორგი კარგათ სცნობ-
და საღმრთო მართლ-მადიდებლობის საწმუნოებისა უმაღლესად უზი-
რატესობასა წინაშე კერპთ-მსახურებისა, იგი შორს იყო იმ ჭაბ-
რისაგან, რომ მას შეეცვალა საწმუნოება თჳსი და შეეწირა მსხვერ-

(*) ხსენებასა მისსა წმიდა ეკკლესია ქრისტესი ღმრთისწაულობს თჳთოეულს წელს
კვ-ს აპრილს, და საქართუჭლოს ეკკლესია ი-ს ნოემბერსაც.

პლი ამომას ბრწყინვალეებისადმი ქრისტეანების დიდებულებისა. ამისთვის მან დაუწიგა გლახაკთა ოქრო, ვეცხლი და ძვირფასი თავის სომოსელი და განათავისუფლა ყოველი თვისი მონანი და მსახურნი. შემდგომ ბრწყინვალისა პირითა და შეურყეველისა სულითა, გამოსცხადდა რამის სენატში, ანუ სამსჯულოში, სადაცა იყვნენ თვით დეოკლიტიანე და მისი წარჩინებულნი საზღვლები. «ხელმწიფო!-ეტყოდა გიორგი, როდემდის უნდა იქმნეს აღვსნებული საშინელი ეგე სისხლით დევნულება ქრისტიანებზედ? როდემდის უნდა გამოიტყუმებოდნენ უსამართლონი ქსუულნი წინააღმდეგ მათ ერთა, რომელნიცა აჩიან სრულიად უბრალონი და უწყინარნი? მათ სდეკნიან, სტანჯვენ და ხოცვენ . . . რაღასათვის? განა არა მისთვის, რომ აცემინათ პატრივი უსულა კეზთათვის, ნაცულად ერთისა ჭეშმარიტისა ღმრთისა. ცისა და ქრისტეანის შეუთვისა, იესო ქრისტესა?! და აწ უმჯობესი არა არის, რომ ჭსნონ ჭეშმარიტებას, და მიიღონ ყველამ ქრისტიანობა, ანუ არადა არ აღახონ მანც და არა სდეკონ აღმსარებელთა მისთა? . . . » ერთბაშე შეკრებულებას საშინელად ზარი დაეცა ამა გიორგის სიტყვით; შეჭმუნვილმა და დაბნელებულმა დეოკლიტიანემ მოუწოდა მაშინ მეგობარსა თვისსა მაგნეტოოსს და უბანა მას პასუხის-გება ქრისტიანეთა მხნედ მოაწყელისა გიორგისა. შეიქნა საშინელი დიდი მდუმარება მისთვის, ვითომც რომ არც ერთი სიტყუა ჭეშმარიტების აღმსარებელისა არ დაკარგულ-იყო: «ვინ შთავაგონა შენ ესრეთი წინააღმდეგი გადნიერება და მრავალ-მეტყველება? ნების მქონებელი მაგნეტოოს ჭკითხავს გიორგის.» «ჭეშმარიტებამან,» მიუგო გიორგიმ.—«რაღას არს ჭეშმარიტება ესე?» «ჭეშმარიტება ესე არს ქრისტი, რომელსაცა თქვენ სდეკით!»—«და ესა შენ განა ქრისტიანე ხარ?» «მე ვარ მონა ქრისტესი, ღმრთისა ჩვენისა, და ჩემის კეთილის ნება სურვილით მოვსულ-ვარ აქა, რომ ვსწამო ჭეშმარიტებისათვის . . . » იმპერატორი, თუმცა იყო უკმა-ჭყოფილო მტკიცედ-აღმსარებელის გიორგის გულ-წმტულის სითამაშისათვის, გარნა, ჭსურდა რა, რომელ დაეფარა მას თავის გულის-წერომს გიორგიზედ, მიატყვეს მას ზე-

და თავის საეჭვო და ალერსიანი მხედველობას. «გიორგი, უთხრა მან, აქამდის მე დიდათ მაკვირვებდა საშინელი კეთილ თვისება შენი. შენის ახოვნებისა და მამაცობისა-თვს მე შენ გეცა პატივი და მოგანიჭე დიდი ხარისხი და წარგახინე დიდის წოდებითა სხუაზედ უმეტეს; თითქმის ეხლაცა, შენის უგუნური სითამამეშიაც, მე მიუვარხარ შენა გონიერებისა და მხნეობისა-თვს შენისა როგორც მამა, მე გიჩხეკ შენ და გაუწყებ არ მოაკლდე შენ სამხედრო დიდებულებასა და პატივ დიდსებასა შენსა, ნუ მისცემ, შენის თავის უჩინობით, შენს სიუმასწვილეს ტანჯვასა... შესწირე მსხვერპლი ღმერთებთა. ეგ მოგანიჭებს შენ უმეტესად დიდსა ჩუქნს კეთილს წყალობასა და პატივს.» ხელმწიფეო! უზასუნა გიორგიმ, თუ რომ ნეტავ შენი დიდებულებაჲ ქსენობდეს დიდებულებასა ღმერთისასა! ნეტავ შენცა შესწირვიდე მსხვერპლსა ქებისასა ზეცათა მეუფესა! მაშინ ეღიწები უმჯობესსა და უკვდავსა სამეფოსა: ვინადგან სამეფო ეგე შენი არ არის სამარადისო . . .» მაშინ აღელდა საშინლად მსგავსად ლელვისა გულის წყრომა დეოკლიტიანესი და ბძანა დამტკიცებით შთავდება წმიდის გიორგისა საპყრობილეში.

შთავდეს რა საპყრობილეში ზურგ მიწად მიქცეული, შეუგრეს მას თვისები ბორკილითა და დაადგეს გულზედ მას დიდი მძიმე ქუჩა, რომელსაცა აჭერდენ რა მძიმედ. ამა მძიმეს წვალებასი გიორგიმ, განმტკიცებულმა ლოცვათა ღმერთისა მიმართ და კეთილ-სასოებითა მას ზედა, განატარა მრთული ღამე და იყო მეორეს დღემდინ. მეორეს დღეს მფარველი ეგე ქრისტიანეთა, გიორგი, საპყრობილითგან მიიუვანეს ისევ იმპერატორთან. შემდგომ, რა რომ ვეღარ შესძლეს გიორგის მიქცევა წარმართობასი, დაიწყეს თვით უწყალოდ ტანჯვა მისი. დასდგეს საშინელი დიდი ბორბალი, მოგონებული სატანჯველად, და ქუჩაზე მისა მოაწვეეს ფიცარი საშინლად წვრილ-პიჩიანი, ლურსმნებითა მტკედილი, რომელთა წვრილად აღლესულნი წვერები პირ და პირ იუვნენ მიქცეულნი ბორბლისკენ. ბორბალზედ დააკრეს ტან-შიშველი მოწამე. აბრუნებენ ბორბალსა და მისს ტრიალში აღლესული რკინა (ლურსმნები) სჭრიდა დაკლევ-

ვიდა ტანსა მისსა წილ-წილად, როგორც ლექსში. წმიდა მოწამე გიორგი
ითმენდა სულ-გრძელებით და ილტვიდა ღმერთზედ სასოებით. დეოკ-
ლიტიანემ, შეატყო რა რომ ვითომ გიორგის მკვდრად, ბრძანა ჩამოხ-
სნა მისი ბოროლთგან, და იტყოდა განკიცხვით: გიორგი! სად-აწს
ღმერთი შენი! ცოტადენი რამომოხდა მტარვალთ ეგე, მაშინვე
ღმერთი გიორგისა, უცნობელი, უხილავი და გამოუკვლეველი გო-
ნება დაბრმავებულთა მიერ, მიეშველა შესწევნელად თვისსა მტკიცედ
მოწმუნესა მოწამესა გიორგის. — უცრათ სქელი ღრუბელი გარ-
შემოემოსა ჭაკსა, გამოვარდა საშინელი ქუხილი და ისმა ხმა: «ნუ გე-
შინინ გიორგი მე შენთანა ვარ!» შედგომ იარადი სატანჯველთა გარ-
შემო-იზღუდების უცხოებისა ნათლითა. ანგელოზი უფლისა, დაადებს
რა ხელსა მოვარდობისასა გიორგის, ახარებს მას: გიხაროდენ! — ვერა
ვინ მხედართანმა ვერ გაბედა მიახლოებას, რომ ჩამოეხსნათ გიორგი
იარადისგან სატანჯველისა, რადგან შიში შეაბოროტებდა მაგათ ყო-
ველთა. განთავის-უფლებულმან და განკურნებულმან ანგელოზისა მიერ,
წმიდა მოწამე გიორგიმ მშვიდობით და უვნებელად დაუტევა ადგილი სა-
ტანჯველისა. აღტაცებულნი შიშითა, მხედარნი მიეშურებიან, რომ მო-
უთხრონ ყოველივე ეგე ვითარნი შემთხვევა მტარვალსა; მათთანავე გა-
მოსცხადდების ბორონში წმიდა გიორგიცა . . . შიშითა და განცვიფრე-
ბითა, ვერა ვინ ჭსტნობს მოწამესა. მე ვარ გიორგი! ჭსტაქუა მან. —
«ერთი, დიდი და ჭეშმარიტი არს ღმერთი, ღმერთი ქრისტიანეთა!»
დადადებდენ ორნი პრეტორნი (*) ანატოლიოს და პროტოკლესნი. სა-
კვირველებით განკურნებამან დატანჯველის გიორგისამან მოაქცია მრავალ-
ნი ქრისტეს მიმარტ; რიცხვთა შორის მრავალთასა იყო წმიდა ალექ-
სანდრაცა, (**) მეუღლა დეოკლიტიანესი, რომელიც ეწამა ერთად გიორ-

(*) პრეტორი არის სასამართლო ადგილი, რომლისა წევრნი (ჩლონები) იყვნენ ეს ორნი პირნი.

(**) წმიდა ალექსანდრას ხსენებასაც წმიდა მართლ-მადიდებელი რუსეთის ეკლესია ჰყოფს ერთად წმიდის გიორგის ხსენებასთან, ე. ი. კვ-სა აპრილს ყოველ წლოვით.

გისთანა დეოკლიტიანეს მიერ, ქმრისა თვისისა აღსარებისა-თჳს მარტო-
მადიდებლობის საწმენოებისა; ერთი მხლოდ უწმენო და დაბნელებული
დეოკლიტიანე არა ჰსცნობდა ჭეშმარიტებასა და თან და თან უმეტესად
აღიგზნებოდა გულის წყრომითა. მისისავე ბრძანებით ანატოლემან
და პროტოლემან იმ დროშივე მიიღეს ტანჯვით სიკვდილი; ხოლო
წმიდა გიორგი სამს დღეს იყო დაფლული ცეცხლით აღგზნებულს კირ-
ში. შემდგომ სამისა დღისა, მწვალებელმა დეოკლიტიანემ ბძანა გამოგ-
დება აღგზნებულს კირისაგან წმიდის გიორგის ძელებისა, რადგან იყო
დაწმენებული, რომ იგი იმაში გამოიწვებოდა; გარნა გაგზავნილ კაცებ-
მა ჰპოვეს წმიდა გიორგი სიმრთელით და უვნებელად, და შეიქმნენ ამა-
ზე განკვირვებულნი; თჳთ დეოკლიტიანეს ეჩვენებოდა ეგე საკვირველად,
გარნა, იყო რა დაბრძანებულ გულის-წყრომითა, სინიდისი არ აუწყებდა
მას. ესე ყოველივე საკვირველება წმიდისა მოწამისა მიაწერა-რა მისნობასა,
მან დაიბარა წმიდა გიორგი და ჰკითხა მას: «საიდან მოგენიჭა
შენ ეგრეთი ძლიერება? რა ნაიჩი მისნობით შენა შურები ამასა? მე
კვონებ შენ გსურს, რომ ვითომ გაგაკვირონ ჩუენ შენის ხელგნებითა
და გვეჩვენო დიდათ . . .» ხელმწიფეო! — უპასუხა გიორგიმ — მე
ვსტიჩი შენის უბედური უმეტრებისა და შეცთომილებისა-თჳს! არა ვი-
თარს მისნობასა არ შეუძლიან ეგრეთი საქმე, რაც შენ იხილე და გესმა
ესლა. უგულის-ხმო დეოკლიტიანემ ბძანა, რომ ჩაეცვათ გიორგისა-თჳს
ფეხებზე გაელვარებული ცეცხლის შუქით რკინის ჩექმები, მოჭედდინი
შიგნით საშიხლად მჭრელი წვრილ-წვრილი ლურსმნებითა, რომელთაც
წვერები ჰქონდათ ზევით აშვერილები სახხვლეტელად ფეხებში, და და-
ცინვით შთაგდება მისი საპერობილეში . . . მიუახლოვდა რა საპერო-
ბილესა, მოწამე გიორგი მოუძღურდა წელულებისა გამო ხორციითა, გარ-
ნა სულთა იგი იყო მხნე და მოუძღურებელი; მოთმინებითა და ლოცვი-
თა, მან კვალადვე მიიღო უზენაესისა მიერ შემწეობა: — გურნება წელუ-
ლებათა და სრულიად ტანისა სიმრთელე. მეორეს დღეს დილით წმიდა
გიორგი იყო მიუვანილ გამოსაკითხავად და პასუხის მოსახთელად. ახა-

ღის სკვირკველებითა გაოცებულმა დეოკლიტიანემ, რა რომ ვერა მოახერხა თუ რა უნდა ეკითხა, დასათურკველად თვის შერცხუნილებისა, განკიცხვით ჭკითსა: « გიორგი! გამოგადგენ შენ ჩექქუბა? » « დიას!» სიმძვლით უზასუხა გიორგიმ. « დამოჩილდი; დაუტოვე ეგ შენი მინობით მაცთურება და დაემოჩილე ღმერთებთა, თორემ მოჭკვდები. » მაშინ წმიდა მოწამე გიორგიმ აღმოახერხებით ჭსთქუ: « საშინელი უგუნურება არის! ძალსა ღმერთისასა უწოდებენ მისნობად!... » მძვინვარის გულის წყრომით ახარბაცებდა რა თვალებსა, სისხლის მსმელმა დეოკლიტიანემ ბძანა სასტიკად დასჯა წმიდისა გიორგისა პირზედ ცემითა; ხოლო შემდგომ აცემინა ხარის ძარღვებითა მანემ, ვანემდის ხორცი გიორგისა სისხლით გასკრილი არა მიეკვრებოდა მიწასა, რადგან გიორგიმ, ვითომ წინააღმდეგი ჰასუხით, განკიცხა დიდებულება დეოკლიტიანეს მეფობისა. გარნა საშინელის შემოკვრითა პირი წმიდისა გიორგისა არა შეიტკვლებოდა: იგი იყო ბრწყინვალე და მშვენიერი! რა რომ ვერა ვითარი ვნება ვერ შეამთხვიეს გიორგის, მაშინ ერთმა დეოკლიტიანესი მალაღ-ხარისხის მექონმა კაცმა, სახელათ მაგნენტიოსმა, შიშით მიუახლოვდა რა დეოკლიტიანესა, უჩიარა რომ მოეხმარა დეოკლიტიანეს ხელფანება ერთის მისნისა, რომეღიტ იყო ნაცნობი მისა და მით მაინც რეგოჩმე ევნათ გიორგისა-თვს. მაშინვე მოიყვანეს მისანი იგი. უსიტხვილად თავის მოიმედე და უსინიღისოდ კვება რა მისანმა აღუთქვა დეოკლიანეს მომზადება ისრეთა საწამლო სასმელებისა, რომელნიცა, მისის ფიქრით შეამთხვევენ გიორგის იმას, რადცა ნებას მტანჯველსა. მომზადებულ-იქმნენ მავნებელნი სასმელები; კმა-ჭყოფილი თვისი ამოხელფანებითა, მისანი იგი აჩვენებდა სხუა და სხუა გვარათ შესავებულ სასმელებთა დეოკლიტიანეს და განუმარტავდა მას თითოეულად იმა სასმელების ძლიერებასა და თვისებასა: « ეგ, - იტყოდა იგი, რა აჩვენებდა ერთისა ჭურჭელსა, — აქნევენებს მას ყოველივეს, რადცა კი გნებავს; ხოლო ეგ, - აჩვენებდა რა მეორესა, — შეამთხვევს მას სიკუდილსა. დაწმუნებულსა-ეგრე ვითარად მისნის ძლიერებაში, მტარვალს დეოკლიტიანეს ჭსურდა,

რომ დაეხურო მძლეკელსა ეშმაკურის მოქმედებით წმიდა მოწამე გიორგი-
ზედ, არა იცოდა რა, რომელმან, ვისთვისაც ივნო წმიდა გიორგი, ჰსთქუა:
« და თუ რა მე სასიკუდიანე სუან, არა რაიმემ ავნოს მათ. » და-
ლეკინეს სასმელი წამალი წმიდა გიორგის. « აჲ, ეუბნებოდა დეოკლიტი-
ანე, ეხლა გათავდება შენი მისნობა, დალიე ! » წმიდამან მან თუმცა მი-
იღო ორნივე საწამლაკები, გარნა დაჩხა უვნებელად . . . როგორც ელ-
ვითა მოსწულული რაიმე, იგრე გაშეშებული იდგა იქ მისანი (*) იგი
საშინლად დაღონებული და შემკრთალი, რადგან ხედვიდა იგი, საუბედუ-
როდ მისდა, უღონობასა მისის საქებარის წამლებისასა და წარუმატებ-
ლობასა მისის მისნობის ხელგუნებისასა სავნებელად უვნებელის გორ-
გისა. მაშინ დეოკლიტიანე, არა უმცირესად მისნისა ამაზედ განცვიფრე-
ბული, ეტყოდა წმიდა გიორგის: გამოგვიცხადე ჩუენ ძლიერება შენი, რომ
არა გეგნების რა. « ხელმწიფეო, მიუგო მისა, გიორგიმ რა უნდა გითხრა? —
არა ძალა მისნობისა შერება ამა სავკვირეულებათა, არამედ ძლიერება ქრის-
ტესი ! აჲ რა აღუთქუა მან ყოველთა მისა მოწმუნეთა: არცა ერთი
თმა თავისაგან თქუენისა არა დაგარდეს ! რომელთა მე მრწმენეს, საქ-
მეთა, რომელთა მე ვიქმ, იგიცა ჰყოფს. « ვითარნი არიან საქმენი ეგე?
ჰკითხს დეოკლიტიანემ. » ბრძათა აღხილვას, უპასუხა გიორგიმ, მკეთრო-
ვანთა განწმედა, ეშმაკთა განდევნა, მკვლართა აღდგინება ! « იმპერატორ-
მა, მიუბრუნდა რა მისანსა, ჰკითხა მას: « შენ რასა იტყვი ამაზედ ? « მე
საშინლად მაკვირებენ, ხელმწიფეო, მისანმა მოახსენა ხელწიფეს, ესრე-
თი თქუენი სიმშვიდე და სულ-გრძელება შენის დიდებულებისა და კად-
ნიერება (ამაყობა) ამა დასჯილისა. ჩუენი უკვდავ ღმერთების მზერობე-
ლობა და მმართველობაში, ჩუენ არას დროს არ გვინილავს აღდგომას
მკვლართა; ხოლო ამა ჯვარცმულისა მოწმუნემ ურცხველად მიუთვისა
მას ეგრეთი საქმეები. მაშ აღადგინოს მკვლარი, და მაშინ ჩუენცა დაგ-
მოწმილებით ღმერთსა მისსა. აჲ სათულავი, რომელშიაც არ არის დიდი

(*) მისანსა მას ეწოდებოდა სახელათ ათანასე.

ხანი, მღებარეობს მკვდარი! — მისნისა ამის ეგრეთი ჭაბჭი შეიქმნა მოსაწონი. «ეხლა გვიჩვენე სასწაულები ღმრთისა შენისა, ეუბნება მაგნეტო-ოს წმიდა გიორგის, და ჩუქნ ეკელანი ერთბაშ მოვიქცევით საწმინდობისადმი მისა მიმართ.» «აქა მიუგო სიმშვიდით ქრისტეს მოწამემან, თქუქნ რომ არ იწმინებთ მას, რისთვის უნდა გამოვსცადოთ ღმრთი? მაგრამ არა თქუქნთვის, არამედ ერისა თვის მე მოუწოდებ სახელსა ღმრთისა ჩემისასა, და კსასოებ, რომელ მან ისმინოს მონისა თვისისა, რათა ძლიერება მისი არა შერაცხონ მისნობა და მზაკვარებად! სთქუა რა ეკე, მან მოიყარა მუხლები, აღაბურო ხელები, და დაიწყო ღოტუა. შეიქმნა დიდათ საშინელი შხივილი და მიწისა ძრვა, რა რომ დაიწყო მან ღოტუა; საფლავი. რომელშია ც მღებარე აუო მკვდარი, გაიღების, მკვდარი განცხორებების და გამოცხადების ხმითა წმიდისა გიორგისათა. შიში სიკვდილისა დაეცა ყოველთა. გარნა აღდგომა მკვდრისა დაშთა უნაყოფოდ მხოლოდ დეოკლიტიანესა-თვის; ხოლო მისანსა მას ესრეთმა სასწაულმა განულო თვალნი აღსარებისანი, და, იხილა რა მადლი ჭეშმარიტისა ღმრთისა ესოდენ ცხადად მოქმედი და საკვირველი წმიდათა შორის მისთა, მოიქცა გზისაკან არა წმიდებისა და მრავალნიცა მუნ მეოთხნი მოიქცენ ქრისტეს მიმართ.

ხოლო, შემდგომ განგრძობულოთ და მრავალ გვართ ტანჯვათა, წმიდა მოწამე გიორგიმ განისჩუქნა სიხარულით, ვითარცა კეთილმან ქრისტეს მხედარმან აღგაღსა ზედა ბრძოლისასა. მწკალებელმან და დამშკრალმან ბრძოლითა გიორგისთანა, ბრძანა ხრმლითა წარკვეთა თავისა და მით დასრულება დიდებულის გიორგის ცხოვრებისა, რათამცა მით დაუსრულა მას თვისი ბრძოლა. სასიხარულოსა დროსა შინა თვისის უკანასკნელის ძლევისასა, წმიდა მოწამე გიორგიმ, მიაქცია რა თვალნი თვისნი ცად მიმართ, შესწირა მადლობა ღმრთისა, რომელმანც აღიწესა მას გვრგვნი მოწამებისა, და ილოცვიდა მიტევებისა-თვის ცოდვისა მის მტანჯველისასა. შემდგომ სიხარულითა, მიიღრია რა თავი თვისი ხრმლისა ქვეშ, იგი განვიდა ქუჩუანით ცად და მიიტვალა უფლისა მიმართ.

წმიდა ეკკლესიის ქრისტიანი უწოდებს წმიდასა და დიდსა მთავარ-მოწამესა გიორგის დიდებულად და ძლევა-შემოსილად. გარდა იმა ძლევისა, რომლითაც მან მძლეველობითა თვისითა წვალების დროს მტერს-მტანჯველსად დაიმკვიდრა გვირგვინი მოწამებისა, მან შემდგომშიაც თვისი მიტყალებისა მეტე გამოაჩინა უმეტესად დიდებული ძლევა-შემოსილება თვისი სასარგებლოდ ქრისტიანობრივის სარწმუნოებისა. აჲ გარდამოცემა ჩას, გვიცხადებს ჩუქნ შესახებ ერთასა, განსაკუთრებით, დიდსა სასწაულისა, რომელიცა იქმნა გიორგის მიერ აღსრულებული, შემდგომ თვისი წამებით სიკუდილისა !:

სიწმინდის მხარეში ერთის დიდის ტბისგან, რომელიც განკრტულდებოდა ლიხანის მთით, გამოდიოდა საშინლად საოცარი, თრთოვანი და თრჩხილებითა აღჭურვილი მძვანვარე ცხოველი, მსგავსი გველისა, და ვისაც მოჭკრავდა თუ აჩა თვალებს, მაშინვე შეათრევდა ჩა წყალში, შთანთქმავდა; ჩაღსაგამო იქ ახლო მდებარე ქალაქი ბერიტი იმყოფებოდა დაუდგრომელის და საოცარის შიშის ქუჩაში. ბერ-ჯელ მონდომას ხალხმა მოკლვა მისი, მაგრამ გველი იგი ერთის თავის სუნთქვით მაშინვე მოსპობდა იმას, ვინც კი გაბედავდა მის მოკლვას, და ამისთვის ხალხი ყოველთვის უკან ბრუნდებოდა შიშისაგან და ვერა ბედავდა მისს მოკვლას. სრულიად საზოგადოების გული იყო მეოთხე დიდს მოუთმენელს მწუხარებაში: ჩადგან გველ-გეშაში იგი თავის გესლით დასუნთქავდა ჭკერსა და, რომორც თქვამდნენ, ვითომ შთასხამდა სიკუდილსა მიწის ნაყოფშიაცა.

ბოლოს მცხოვრებთ (*) დაუტევეს საოჯახო და საზოგადო თავიანთი საქმები, მან მუშაობა; ყოველ დღე ქონდათ შეკრებულება ბერიტის ქალაქის მეიდანზედ, და ჭქონდათ ჩხევა თუ ჩა ნაირი ზომას მოეხმარებინათ იმათ თავიანთს საზოგადო უბედურებაში . . . ჩა კი ვერ მიხვთნენ თუ ჩა ზომას მიეღოთ, იგინი შივიდნენ მთავართან და შესტირეს ერ-

(*) ყოველნი ერთობ იყვნენ იგინი გერბთ-თაყვანის-მცემელნი—წარმართნი.

თის ხმით: «ვიღუბებით იმა გველისაგან! დაგვიფარეთ ჩუქნი! შენა ხარ ჩუქნი მთავარი და მამა!» «არ ვიცი თუ რა ზომის მოხმარებას მიბძანებენ მე ღმერთები, უზასუსა ხალხსა მთავარმა, მე უნდა ვეკვდრო იმით, რომ გამომიცხადონ მე ნებანი თვისნი», — და წავიდა საკითხავად ამან ჯერებთან.

რა ჭსტნობდა ესრეთს ბერძნის მთავრის განზრახვას. დიდთ განიხარებდა სული გენისა მის. იგი სრულად დაემკვიდრა გულსა და გონებაში თვისის მსახურებისა, და პირითა მათითა ამოიძახა შემდგომი ზასუსი: «თუ რომ არა გსურდესთ თქუნი დაღუბვა ერთიანათ, მე გირჩევ თქუნი ერთბამ ბერძნის მცხროვრებთ, რომ თქუნი მთავრიდან დაწყებული უკანასკნელ კომლამდის მისცეთ თითოეულს დღეში წილ-ხდომობით გველსა მას შესაჭმელად თავიანთი შვილები: ვაჟი გინა ქალი.» — ეგრეთი წყუული რჩევა მართლად იქმნა მიღებული, და რჩევისა მსგავსად ვიდევაც დაიწეს მიწთმევა ღმთის-საწინააღმდეგო მსხვერპლისა პირველად ჩინოვნიკებმა, და შემდგომ-ხალხმა. ყოველ დღე დილ-დილით უბედური ქალაქი აღივსებოდა ვაგებით და ტირილ-გოდებით, ყოველ დილით ჭსტი-როდენ თავიანთს შვილებს: ვაჟსა გინა ქალსა, დანიშნულსა სასიკუდიანედ. მშობელნი და მონათესავენი თავიანთი თავის თმის გლეჯით მიიყვანდნენ უმაწვილს იმ ტბის ნაპირზედ და დასტოვებდნენ იქა დინახავდა თუ არა თავის მსხვერპლს, მაშინვე გამოჩნდებოდა გველ-ვეშაპი იგი წყლიდან და უბედურს მსხვერპლსა შთანთქმიდა.

ბოლოს მოაწია რიგი მთავარზედაც, რომელსაც უნდა მიეცა თვისი ერთი შვილი-ქალი, მან უბძანა ასულსა თვისსა ჩაცმა საუმჯობესო ტანისამოსისა და, იტირა რა მან იგი, როგორც მკუდარი, გაგზავნა იმა დანიშნულს სამსხვერპლო ადგილზე, სადაც ჩვეულებრივ მიიღებდა უბედურს მსხვერპლსა გველ-ვეშაპი იგი; მთავარი კი გულ-გაქვავებული მადლსა სახლიდან უცქეროდა, თუ რა ხაიროთ მოისპებოდა ქალი-შვილი მისი იმა წყუული გველ-ვეშაპისგან. მდგომარე ტბის ნაპირზედ კნიაჟნა საბრალლო, რაკი მოელოდა უბედური მისი წერის აღსასრულს და სიტოცხლის

შემოკლებას, კვხესით და გოდებით სტიროდა და გულზედ ხელების მტკრევით აღაპურობდა ცისკენ თავის სტილით დაღურჯებულთ თვალებითა.

გარსა ღმერთმან, რომელსა ჭსურს ყოველთათვის ცხოვნება, ინება გამოხსნა ქალაქისა ამის ხელმწიფებისაგან (მონებისაგან) გველისა და ჯოჯოხეთისა. მისის ყოვლად ძლიერის წამის-ყოფით უეცრად გამოჩნდების წმიდა და დიდი მთავარ-მოწამე გიორგი, ცხენზედ მჯდომარე მხედარი ჭაბუკის სახედ, რომელსაც ხელთ ეპყრა ლახვარი (*), და რა რომ მიუახლოვდა სასო-წარკვეთილს და უიმედოვნო ქალსა, ჭკითხავს-თუ რაღასათვის სდგას იგი ტბის ნაპირზედ და სტირის ეგრე მწარედ გულ-ამოსკვნით? განშორდი აქედგან მალე, ახლოვნო ჭაბუკო, უთხრა ქალმან მან, რომელმაც არა იცოდა, თუ ეს ჭაბუკი იყო წმიდა დიდი მთავარ-მოწამე გიორგი, — განშორდი, რომ არ მოისპო შენცა ერთად ჩემთანა! — ჩემზე ნუ გეშინიან, უთხრა ძლევათ-შემოსილმან ქალსა მას, მხოლოდ ეს მითხარი, რას ელოდები აქა, სადაცა გიუურებენ ქალაქიდან სრულიად ხალხნი? «მეშინ იმ ქალწულმა ქალმა მოკლეთ მოუთხრა გიორგის იმ მძვინვარე გველზე ყოველივე გარემოება, — უბედურებისათვის მათის ქალაქისა და ყოველ დღე უმაწვილების მსხვერპლად შეწირვისა-თვის, და ხელ-მეორედ დაუწყო კედლება გიორგის, რომ განშორებულ-იყო და უბრალოდ არ ჩაეგდო სიტოცხლე თვისი შიშის ქვეშ. — «უხედავ, რომ შენ კეთილი გონებისა და სულისა ჭაბუკი ხარ, მამაცი და ძლიერი (ღონიერი); გარსა ამ ძვინვარე ცხოველს, რომ გოგონა შენ, ათასნიცა (კაცნი) ვერ დაუდგებიან წინა; ამისთვის განშორდი და დაიხსენ თავი»

(*) ამა ძველისა გარდამოცემისა ძლით დიდსა მთავარ-მოწამე წმიდა გიორგსა ხატვენ მჯდომარედ თეთრს ცხენზედ, (რომელსაც საქართველოს ხალხი უწოდებს: «რაშა»); ამ ცხენის ფეხებს ქვეშ მდებარე არის საშინელი გველ-ვეშაპი, რომელსაც აქუს პირო ღალრენილი წმიდის გიორგისკენ; გიორგი კი ლახვრითა თვისითა აქერს გასაგმირავად უბაზედ გველ-ვეშაპსა მას. ხოლო უმაწვილსა ქალსა ხატვენ მთავარ-მოწამე წმიდის გიორგის წინ მუხლ-მოდრეკილსა და ტირილით მვედრებელსა.

ვი შენი; თორემ შენც დაიღუპები, და მე კი ვერ გამოვიხსნი ამ უბედურის წიკისაგან.»—«სახელითა უფლისა ჩემისა იესო ქრისტესითა, ყოველივე შესაძლებელ-არს!» უპასუხა გიორგიმ.—«როგორც სთქუას გიორგიმ ეს სიტყვები, მაშინვე მსწრაფლად გამოჩნდა წყალში საშინელი გველეშაპი იგი და მიუახლოვდა ქალსა მას . . . ხოლო ქალწულმან, იხილვას ეს ყამი და მიხედა ალსასრულისა თვისისა, დაიწყო სასო-წარკვეთილებით გოდება და ტირილი უმეტესად . . . აქ წმიდა ძლევა შემოსილმან გიორგიმ, გამოისახა-რას პირზედ ჯვარი, ჭსთქუას: სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, და მაშინვე, როგორც მიუახლოვდა თუ არა გველეშაპსა მას, აღაოხრას იგი ლახვრითა თვსით და განგმირას იგი სასიკვდილად: უეტარდ დასცა მას ყბაზედ ლახვარი თვისი, დაახეთქა მიწაზედ, და განურკებულის თავის ცხენის ფეხებით დათრგუნა . . . შემდგომ უბრძანა ქალსა მას, რომ იმას თავის სასრტყელით შეკრული გველი იგი შეეთრია ქალაქში, როგორც ერთი უბრალო ძაღლი . . . ხალხი ესრეთის სამაგალითო და საკვირველი შემთხვევისათვის შეოცდა; გარნა ძლევა შემოსილმან განაბრძნო (განამხნო) იგინი მღვიძარებითა . . . ნუ გეშინიანთ, უთხრას მან ხალხსა, არამედ სასოებდეთ ღმერთსაზედა და გრწამდეთ იგი; უფალმან ღმერთმან მომავლინა მე მოსასპობელად ამა საშინელის გველისა, რომელიცა გჭამდათ თქუენ და შვილთა თქუენთა.» შემდგომ საშუალ ქალაქისა მოჭკლას მან გველი იგი და, როგორც ვი ბძანა დაღწვა მძოვრისა მისისა (ეცხლში, შეიქმნა უხილავი.


მთავარმან და სრულიად ერმან, როგორც შეიტკეს, რომ ეს იყო წმიდა, დიდი მთავარ-მოწამე და ძლევა შემოსილი გიორგი, მიიღეს წმიდანათლის-ლება. რც და ხუთი ათას კაცამდინ, გარდა დედაკაცთა, და ყრმებთა, იშენენ წყლითა და სულითა — ყველანი მოინათლნენ.

ესტატე ბ. თ. თ. უ. რ. ი. ა.



ქ ს წ ა კ ლ ა

წმიდასა დიდსა ხუთშაბათსა, შემდგომ შიარებისა წმი-
დათა საიდუმლოთა.



ძმანო და მამანო! დღევანდელი დღე დაწესებულ-არს წმინდისა ეკ-
კლესიისაგან მოსახსენებულად იმა სერობისა, რომელსა ზედაცა უთვალმან
და ღმერთმან ჩუქნნან იესო ქრისტემან, წინათ ვნებისა ოჯისისა, განა-
წესა საიდუმლო შიარებისა, სახითა ოდენ ჰურისა და ღვინისა, — და მის-
ცა მოციქულთა შიარებად თვთ ყოვლად-პატიოსანი ხორცი თვისი, და
თვთ ყოვლად-წმიდა სისხლი თვისი.

დღეს თქუწნცა, ქრისტეანო! იყავით ჩუქნთანა იმავე უთლისა სე-
რობაზედა, და ეშიარებით თქუწნცა ყოვლად-პატიოსანთა ხორცთა და
სისხლთა ქრისტესთა. — წმიდა სახარება მოგვითხრობს, რომელ ოდ-
ესცა მოციქულთა მიიღეს ხორცი და სისხლი ქრისტესი, მაშინ შეუდ-
გა მათ დიდი დუმილი; იგინი მხოლოდ ჭთუქრობდნენ დიდისა ამის საი-
დუმლოსა-თვის და მადლობდნენ უთალსა. — «და გალობა წარსთქუწს»
იტყვის წმიდა სახარება «განვიდოდნენ-რას მთად ზეთის-ხილთასა» (მათ.
26, 30). ეგრეთვე მსგავსად ამისა დღეს ჩუქნცა, რომელთაცა მივიღეთ
წმიდა საიდუმლო შიარებისა, ესე იგი — ხორცი და სისხლი ქრისტესი
თან-გვამს დუმილი, და არ უნდა შევიღეთ-და რომელსამე საუბრობაშია;

თანა გვამს, რათამცა ჩუქნი უკუელთა დიდის ფიქრითა ვისაუბროთ ჩუქნს
საკუთარსა გულსა და გონებაშია, და კმადლობდეთ უფაღსა, რომელ-
მანცა ღიქს-გუგო მიღებად დიდისა ამის საიდუმლოდსა; — ხოლო მიღე-
ბა ესრეთთა საიდუმლოთა იყოს საცხროვნებელად სულისა და სამრთე-
ლით დატვისა-თჳს ხორცისა ჩუქნისა ! ამინ . —

მღჳდელი იოელ ხატევი.

მოკლე ისტორიული განხილვა

სამღუთო-მსახურების წიგნთა მართლ-მადიდებელის
ქართულთ ეკკლესიისა.

სამღუთო მსახურების წიგნნი ჩუქნის ეკკლესიისა ღირს არიან, რათა თათოყულმან შვილმან მისმან მიაქციოს მათ სრული ყურადღება თვისა, ამისთვის რომელ მათ შინა გამოხატულ-არს სამღუთო მეურნეობა ჩუქნისა ცხოვრებისა, და ჩვენებულ-არს ცხოველთა მაგალითთა შინა გზა მისდამი მიმუკანებელი, გარნა უმეტეს ღირს არიან იგინი ყურადღებისა თათოყულისა ეკკლესიის მსახურისა, რომლისა ვალი არს, რათა ასწავლიდეს სხვათა, აღასრულებდეს საიდუმლოთა და სამღუთო მსახურებასა საეკკლესიო წიგნთა შინა; შესაძლო არს ესთქვით, გარდამოცემულ არიან ჭეშმარიტებანი ქრისტიანობრივის საწმუნოებისა, განმარტებულ არიან მრავალნი საგანნი სამღრთოჲსა წერილისა და ჩვენების მრავალნი მაგალითნი სასარგებლონი მოქადაგეთა-თვს. საეკკლესიო წიგნთა შინა შე-

(*) საზოგადო ცნობანი საეკკლესიო წიგნთათვს შემოკლებით გამოვიღეთ თხზულებისაგან რუსულს ენაზედ «Историческое Обзорѣніе Богослужебныхъ книгъ Греко-Россійской церкви. Изданіе второе Кіевъ 1853 года. ხოლო ოდეს. სად, ანუ ვისგან ითარგმნენ სსენებულნი წიგნნი ბერძულიდან ქართულს ენაზედ, ანუ სახელდობ ვის შეუდგენია აკოლოთიანი სადიდებელად წმიდათა ჩვენის ეკკლესიისა,—ეს ჩუქნ ღაუმატეთ. ი. სულხანოვი.

გრებულ-არჩან მრავალ გვარნი ხმანი სულთა, ზოგორც მონანულთა, ეგრეთვე სულთა მონარულთა ღუთისა მიმართ მაცხროვისა. ერთის სიტყვით ჭკსთქვით, საეკლესიო წიგნთა შინა ჭკპოვებთ ჩვენ ყოველსა მას, რაჲცა სახმარ-არს ცხოვრებისა და კეთილ მსახურებისა-თჳს კაცისა, რათა სრულ იქმნეს და განმზადებულ ყოველსა ზედა კეთილსა საქმესა. ამ გვარი ღირსება წიგნთა ამით აღგუძრავს, რათა ვსცნათ იგინი დაწკლილებით.

ამისთჳს განვიხილოთ სამღუთო მსახურების წიგნნი ჩუქნის ეკკლესიისა და შეძლების-მებრ ჩუქნისა გარდმოვცეთ აქა ისტორია მათი თჳთოეულად: ეს იგი, შეკვრიბოთ ცნობანი მისთჳს, ოდეს და საიდგან მოაწიეს ჩუქნამდინ მათ წიგნთა, რაოდენნი იუენენ მასინ და ვითარნი ცუდილება მიიღეს მათ შემდეგ უამში, ოდეს და ვისგან თაჳდა-პირველ არის შემდგარი თჳთოეული მათგანი და ვისგან არჩან მოყვანილნი აწინდელს სახეში და სხვ.

მეოთხან მიჩიან, მიიღო რა ქრისტიანობრივი საწმუნოება 318 წ., ჭსთხოვა მან საბერძნეთის იმპერატორს დიდსა კონსტანტინეს ეპისკოპოსი და მღუდელნი. ამით იწყეს აღსრულება სამღრთო მსახურებისა ბერძნულს ენაზედა

არჩილ მეოთხის მეოთხის დროს (423) საქართუჭლლოში მეოთხთ ბერძნის მღუდელთა გახსნეს სასწავლებელნი, რომელშიაც ასწავლიდენ ბერძნულსა ქართულთა ერმათა. ამ დროსა სანდუხტ დედოფალმან, არჩილის მეუღლემ, მოინდომა გადმოღება ბერძნულიდგან ქართულს ენაზედა სახარებისა და სურვილისა-მებრ მისისა კიდეტ თარგმნეს ეს წიგნი. შემდგომ ამისა იწყეს თარგმნა რომელთამე საღმთოთა და საეკლესიო წიგნთა, ასურეთის ენიდგან ღავითმა და სტეფანემ, მეექვსე საუკუნეში. გარნა ახლად და სრულებით უთარგმნიათ სამღუთო-წერილი და წიგნნი სამღუთო მსახურებისანი წმიდასა ეფთვიმესა (*), რომლისა თანა-შემწენი იუ-

(*) ეფთვიმე მიიცვალა 1028 წელსა.

კენ აჩსენი, ნინო-წმიდელი და იოანე გრძელის ძე, და გიორგი მთაწმიდელი (*). სულაერი მოძღვარი გიორგი მთაწმიდელისა გიორგი ოლთისელი, აღწერასა შინა მისის ცხოვრებისასა იტყვის: «გიორგიმ სთარ-
« გმნა პირველ სვინაქსარი, გამოკლებული საწელიწადო სახარება, საწე-
« ლიწადო საწინასწარმეტყველო, დიდი გურთხევანი, სრულიად პავლე და
« კათოლიკენი მოციქულთანი. ხოლო სსვანი ოდესმე თარგმნილნი წიგნ-
« ნი ვერ კვთილად აღმოლებულნი, გინათუ ყამთა სიგრიძითა უცებთა და
« უგუნურთა მხმარებელთაგან დაგესლებულნი, ვითარცა ბრძმედსა მათ
« შინა წმინდისა გონებისა თვისისა გამოადნო და გამოასურნა, ხოლო
« კვალად სსვანი წიგნნი წმიდისა მამისა ჩუჭნისა ევთვიმეს მიერ თარგ-
« მნილნი და უცალოებითა სრულ ვერ ქმნილნი და მოკლედ აღწერილნი
« განასრულნა და განაკრცელნა გიორგი მთაწმიდელმა, და კვალად სსვანი
« რომელნიმე ბერძნულსა შეამოწმა და ყოვლისა ნაკლულკვანებისაგან გა-
« ნასრულნა და სიტყვა დუხჭირობისაგან და ვერავობისა განაშკენა და
« განაბრწყინვა ».

ვიდრე უამადმდე ქართლის განმგებლობისა ბატონის შვილისა ვახტანგ მეექვსისა მიერ 1704-სა წელსა, საღმრთო და საეკლესიო წიგნნი ჩუჭნს ეკლესიებში იხმარებოდნენ ხელ-ნაწერნი და ამისგამე იყვნენ იგინი, რომელც ძვირად საშოვნელნი, ეგრეთვე გარყვნილნი მწერალთაგან. საღმრთო დაბადება თითქმის აღარც კი მოიპოვებოდა საქართველოში მიწებისა გამო ხშირად დაცემისა მას ზედა სპარსთა, ოსმალთა და სხვა და სხუა მთის ხალხთა. აჩილ მეფემ ვახუთისამ და შემდგომ იმერეთისამ მოინდომა 1699 წელსა გასწორება დაბადებისა და საეკლესიო წიგნთა და დაბეჭდვაცა მათი; თუმცა ყოველი ღონის-ძიება მოიხმარა, რომ მოეპოვა მრთლად ძველი აღთქმა, გარნა ვერ ჰპოვა ვერც წიგნი ისლამისა ზარაქისა და ვერცა წიგნი მაკაბელთა; ამისთვის მან ახლად ათარგმნინა ეს ორი წიგნი და დაურთო სხვათა წიგნთა ძველის სჯულისათა.

(**) წმიდა გიორგი მთაწმიდელი მიიცნულა 1066 წელსა.

1707-სა წელსა აჩილ წარვიდა რუსეთს, მუნ გარდაიცვალა და ამისგან-
მო კეთილი ესე თვისი განზრახვა დაუშთა შეუსრულებელი. ძმის წულმან
მისმან, ზემოხსენებულმან ვახტანგ მეექვსემ, მოიწადინა დაბეჭვდა და-
ბადებისა და სხვათა საეკლესიო წიგნთა. ამისთვის მან მოაყვანინა ვალა-
ხიიდან მესტამბე ვინმე სახელად მიხაილ სტეფანეს შვილი, რომელსაც
გამაჩრთუნა სტამბა ტფილისში და თავის საგუთარის ხარჯით დაბეჭ-
ვდინა საწინასწარმეტყველო, სახარება, სამოციქულო, დაკითხი, კონდაკი,
გურთხევანი, ლოცუანი და ჟამნი. ერთს იმ ჟამის, ესე იგი 1709 წლის
დაბეჭდილს სახარებაში, სხვათა შორის ესრეთ სწერია: « რდეს განაკუბ-
და საქართველოსა ძმისწული კეთილ-მოწმუნის მეფის აჩილისა და
« სახელგანთის მეფის გიორგისა და ძე ლეონისა, ღმრთის-მოყვარე გა-
« ნათლებულმა ვახტანგმა იგულს-მოდგინა და მოიღო სტამბა ვლახე-
« თით, რომელი არა რდეს ყოფილ იყო საქართველოში და ხელით წე-
« რაში ჩუწნი საღმრთონი წერილნი გარყენილი იყო. მე დედის ძმის
« წულსა ამა მეფისა და მოსამართლეთ უხუცესის ორბელის ძეს, ცოდ-
« ვილს მღჳდელ-მონაზონს ნიკოლოზს (*), მიბრძანა წიგნების გას-
« წორება და ვერ უჩხ ვექმენ და ეს წმიდა სახარება დიდის ჭირითა
« ბერძენთა დაბეჭდულს სახარებათა შეუსწორე და სიტყვა და ასო მეტ-
« ნაკლები გაგმართე და ამ გვარად დაიბეჭდა ».

1723-სა წელსა სპარსნი და ლეკნი, ვახთ მეფისა კონსტანტინეს წი-
ნამძღომელობითა, დაეტნენ საქართველოსა, აღაოხრეს ტფილისი, დას-
წვეს დაბეჭდილნი საღმრთო წიგნნი და შემუსრეს სტამბა, თვთ მეფე
ვახტანგი, ლტოლვილი ტფილისიდან, წარვიდა მოსკოვს და აქ მისმან
ძემან ბაქარ 1733-სა წელსა გამართა სტამბა, დაბადება სრულებით და-
ბეჭდინა — და სხვანი საეკლესიო წიგნნიც ზედამხედველობითა ორ-
თა აჩხიებისკოპოსთა ათანასე ტფილელისა და იოსებ სამეპელისა. ამ

(*) ეს ნიკოლოზ ორბელის ძე 1726 წელსა დაიდგინა რუისის ეპარხიის ეპისკო-
პოსად.

დაბადების წინასიტყვაობაში მოიხსენება, რომ ის აჩის შესწორებული
ებრაულის, ბერძულის, ასურეთის, ბუღლარის და სომხურის დაბადებას-
თან .

საღმრთო მსახურების წიგნნი მართლ-მადიდებლის ქართველთ ეკკლე-
სიისა შესაძლო აჩს გაყოთ ორ გვარად: პირველსა მათგანსა ეკუთვნიან
წიგნი, რომელნიცა იკითხვიან ჟამსა საზოგადო ღმთის-მსახურების აღ-
სრულებისასა; ხოლო მეორესა წიგნნი, რომელნი შეიცვენ თჳს შორის
ეკკლესიურთა მსახურებათა და შეეხებიან მხოლოდ კერძოთა საჭიროება-
თა მოწმუნეთასა.

პირველსა ნაწილსა ეკუთვნიან შემდგომნი საეკკლესიო წიგნნი: 1) სა-
ხარება; 2) სამოციქულო; 3) ტიბიკონი; 4) სამღმედლო კონდაკი; 5) საე-
პისკოპოსო კონდაკი; 6) ჟამნი; 7) დავითნი; 8) პარაკლიტონი; 9) მარხვა-
ნი; 10) ზადაკი; 11) სადღესასწაულო და 12) საძილისპირონი. მეორესა
ნაწილსა ეკუთვნიან: 1) კურთხევანი, 2) ლოცვანი და 3) დაუჯდომელი.

1. სახარება .

სახარებას უწოდთ წიგნს, რომელშიაც დაბეჭდილ-აჩიან ოთხნი მახა-
რებელნი და წარკითხვიან წირვასედ თჳთოეულსა დღესა გარდა პირველ-
თა ხუთთა დღეთა დიდ გარხვისა შეიდუულთასა და ორთა დღეთა ყვე-
ლიერის კვირიაკისასა.

დაბადებაში სახარება აჩის დაყოფილი თავებად და მუხლებად, ხოლო
წიგნი სახარებისანი ცალკე დაბეჭდილნი ეკკლესიაში საკითხავად გარდა
თავებისა და მუხლებისა დაყოფილ აჩიან დასაწყისებზედ, ესე იგი, დიდ
ანუ მცირე ნაწილებად. ამათგანნი, რომელიცა შეიცვენ თჳს შორის ქრის-
ტეს აღდგომის ისტორიასა, წარკითხვიან კვირათით ცისკარზედ და
სხვანი, რომელნიმე მათგანი იკითხვიან ცისკარზედაც და ლიტურღიასზე-
დაც, ანუ მხოლოდ ლიტურღიასზედ სუფლოთა და ღმთის-მშობლის
დღესასწაულთა და აგრეთვე დღეთა შინა, ოდეს ვჳყოფთ მახსენებასა
რომელთამე წმიდათა-თჳს.

პირველად სახარება დაიბეჭდა ტფილისში ვახტანგ მეექვსის მიერ გამ-
გებელისა 1709 წელსა, ზედამხედველობითა მღვდელმონაზონის ნიკო-
ლოზ ორბელიანისათა, რომელიც ამ თავის დაბეჭდილს სახარებას ბოლოს
ესრეთ დაურთავს: « ეს წმიდა სახარება დიდის ჭიჭითა ბერძენთა დაბე-
ჭდულს სახარებათა სიტყვა და ასო მეტ ნაკლები გაჰმართე და ეს სა-
« ძიებელი, რომელიც არც ერთშია არც იყო სიადვილის და ადრე პოე-
« ნისა-თჳს ესლა მე გაჰაკეთე ». ეს დამატება ნიკოლოზისა, ვითომც
სახარებას სძიებელი არა ჭქონებოდა და თჳთ გაეკეთებინოს ძალიან სა-
ეჭო არის, ამისთჳს რომ სახარება დასაწყისებზე იყო დაყოფილი ისევ
მერმე საუკუნეში, როგორც ქვემოთ ვსტნობთ სამოციქულს წიგნის
განხილვაში და საქართველოშია არც იზოების სახარებანი მუათე საუკუნეში
დაწერილნი, რომელთაც აქუსთ სძიებულნი.

(შემდეგი იქმნება)



მობრძანება იოანე ნათლის-მცემლის უდაბნოსა
შინა ახლად განწესებულისა, აწმინდრიტისა
მ ა კ ა რ ი ს ა .



ისევ წაწმინდის ივნისის თვეში, გამოუცხადა ძმათა იოანე ნათლის-
მცემლის უდაბნოსათა, წინამძღვარმან მისმან აწმინდრიტმა იოანემ, რომ-
ელ მას სურს განთავისუფლება სიბერისა გამო თვისისა თანამდებობიდ-
გან წინამძღვრობისა. — მანვე საშუალოთა ჩიცხვითა სეკლემბრის თვისათა გა-
მოგვიცხადა, რომელ იგი სწულიად დათხოვნილ-აწს, და ნაცვლად მის-
სა განწესებულ-აწს წინამძღვრად ხიწის მონასტრის წინამძღვარი, აწ-
მინდრიტი მაკარი. — ხმა ესე იყო სასიამოვნო ყოველი ა-თვის და დღი-
თი დღე ვეღოდით სინაწულით ახალსა წინამძღვარსა, პირველთა ჩიც-
ხვითა შინა რეკომბრის თვისათა შევიტყუთ აწმინდრიტი მაკარი უკვე
მობრძანდა სოფელს ხაშმისა, სადაცა უდაბნოსა აქვს საცხოვრებელი, —
და მოგვესმა რომელ იგი მალე მობრძანდება უდაბნოში.

გზა ყაჩაღისა მინდვრისა იხილუების რა პირის პირ, და ყოველთა ყა-
თა განთიად და მიმწესები, გარე დგომით მხედველთ გზად მიმართ, —
და დავიდა რა მზე დასაკალსა ხუთს რეკომბრისა, იხილუნეს გზასა ზე-
და ყაჩაღისასა მომავალნი; რომელ ჩუწნცა გულის-ხმის-მყოფნი, მისის
მობრძანებისა-თვის ყოველთა სიშკარითა განკემზადენით მიღებად ახლი-
სა წინამძღვრისა; ტაძარი ღუთისა განმზადებული და მათ შინა აღნთე-

ბუნნი კანდელნი, ხომლნი და ლამზარნი; და ეგრეთვე მამანი მონასტრისანი შემოსილნი სამოსლითა ბრწყინვალითა, სახელდობრ: იერომონახი კანნახეი იოსები, იერომონახი გერასიმე და დიაკონი ტრიფონ, იუვენ ბჟეთა შინა ეკკლესიისათა, — იერომონახი გერასიმე ვითარცა ჩეკედნობი, სდგა ჟვარითა, ხოლო სხვათა ეპურათ აიაზმა, მანტია და კვერთხი წესისაებრ, ხოლო ზარნი დაუცადებულად ირეკებოდენ; და ჩუჭნი თანა ძმანი და მოჩილნი ყოველნი უდაბნოსანი გულთა მხარულთა კულადით, და მის მალაღ-ღირსების კურთხევას ვმოქენობდით. ხოლო ყამი იყო ვითარ მეშვიდე და ყოველთა ხელთა შინა გვეზურა სანთელნი აღნთებულნი; და ვითარ შემობრძანდა რა ეკკლესიისა შინა მიიღო აიაზმა და ეთხვია პატროსანსა ჟვარსა, გვაგურთხა ყოველნი, და შეკედით მგალობელნი გალობათა ამათ: « ხათელი მოხვედ ქრისტე სოფლად და ნათობ შენთა აღმსარებულთა, ხოლო რომელთა უარ-გეონ შენ, მიეცენ ბნელსა განუნათლებულსა ». — აღსაკსებულად გულითადისა სიხარულისა ჩუჭნისა . . . შესრულმან ტაძრად, ეთხვია წმიდასა ტრაპეზსა, და ხატთა მაცხოვრისა და ყოვლად წმიდასა ღმთის-მშობელისა და ნათლის-მცემელისასა და სხვათა, ხოლო წარმოსთქვა დიაკონმან მტარე შეგვიწყალენი, და შემდგომ მრავალ-ყამიერ უკეთილ-მსახურისა იმპერატორისათჳს, მალაღ-ყოვლად უსამღმდელოესისა და ახლის ჩუჭნისა წინამძღვრისა-თჳს, ყოველთ ძმათ წარვსთქვით მრავალ ყამიერ. ხოლო გონებითა ვეკედრებოდით უფალსა დღეგრძელობისა-თჳს და სიცოცხლისა ყოვლად პატროსნისა მამისა ჩუჭნისა ახლის წინამძღვრისა; ყოველთა ამათ შემდგომ შეემთხვია ყოველთა ამბორებითა; ხოლო სიმდაბლემან მისმან და სიყვარულმან განგვაკვირვა ჩუჭნ, რამეთუ ჩუჭნდაცა ისურვა ამბორება და სიტკბოებით მიღება, რომელნიცა ჩუჭნ ვრაცხევდით თავთათჳსთა უღირსად, არათუ მხოლოდ ამბორებსა მისდა, არამედ პირის პირ ხედვასაცა, — არამედ მან სრულად უგმობივცა განსრავა ჩუჭნი.

და წარმოსთქვა მოძღვრება ძმათადმი ფრთად დამატობელი სულისა და განმანათლებელი გონებისა, რომელიცა წარმოაჩინებდა თჳსსა სიმ-

დაბლითსა სიყვარულსა ძმათადმი; და გვიბრძანებდა ჩუქნცა, ყოველთავე თანამდებობასა სიმკაცრით აღსრულებასა.

შემდგომ ამისსა, ვიწყო ღამისთევით ლოცვა, რამეთუ დღესა მეორესა მიმთხვევად ვიუკენით, ხსენებასა წმინდისა მოციქულისა თომასსა. რომლისა დღისათვისცა შეემზადა წირვად ახალი წინამძღვარი, და მასთანავე მამანი მონასტრისანი, და მღვდელი სოფლის ხაშმისა აბრამ ნახუცაროვი; რომელიცა მუნიდგან წარმოჰყოლოდა აწმინდრიც მაკარის. — დასასრულ, შემდგომ გამო ცისკრისა, წარკედით ყოველნი თვსთა კელღინებთა შინა, მადლობელნი ღვთისა მოკლენისა-თვს ჩუქნდა ესრეთის წინამძღვრისა.

მეორესა დღესა ჟამსა მეცხრესა შევიდა ჩერედის მღვდელ-მონაზონი გუჩასიმი, მიღებისა-თვს გურთხევისა წინამძღვრისაგან მთავარ დიაკონითურთ და მოიქცნენ ტაძრად, ხოლო ზარი ირეკებოდა ნელიად, რამეთუ შემოსულად იყო წინამძღვარი, და ვითარ შემობრძანდა, წესისაებრ მიგებებულ ვიქმენით და შეემთხვია ხატთა და შეიმოსა ბრწყინვალითა შესამოსლითა, და ვიწყოთ, ჟამნი რომელსა შეუდგა სააღმართო მსახურება წირვის წესისაებრ. შემდგომად წირვის გამოსვლისა, გარდაიხდა საკედრებელი ჰაჩაკლისი, წმიდისა იოანე ნათლის-მცემლისა, რომელსა მუხლთ მოდრეკით კეკედრენით დღეგრძელობითისა სიცოცხლისა-თვს წინამძღვრისა. დასასრულ ყოველთასა ეკლოგია გვიბოძა ყოველთა, და ესრეთ აღესრულა ჟამის წირვა; და წაბრძანებულს წინამძღვრისა, შეუდგით ყოველნი ძმანი, და მოჩხილნი სახლსა მისსა, სადაცა მიიწითვეს ხანი, ხოლო დამტკობელი სულისა საუბარი და დაწიგება აწა გამოილეოდა ჰიჩისაგან მისისა ყოვლადვე. შემდგომად ჩაისა, ისურვა მოხილვა ტაძართა და ძმათ კელღინებთა განცდად, თუ ვითარნი მდგომარობა აქვსთ, — ჰიჩველად შებრძანდა მალლა ეკლესიასა შინა, ღვთის-მშობლის მიძინებისასა სადაცა შეემთხვია ხატთა შემდგომად ეკუდერსა წმიდისა დიდისა მოწამისა დიმიტრისა, ხოლო ჩუქნ ყოველნი ძმანი თანა ვუკუბოდით

დასასრულ ამათსა მოიხილნა კელლინნი ძმათანი და ყოველთა თვისსა შესატყვისსა დაწიგებას მისცემდა, თუ ვითარ ჯერ არს კელინთა შინა ყოფიდა; ესენიცა მოიხილნა რა, ისუჩკა უდაბნოჲსა ხილვა და სალაროსი ამის, სადაცა იხილნა ყოველნი განძეულბანი, და ძველნი ხელ-წერილნი ეტრადებზედ და ქალაქებზედ ნაწერნი; და ეგრეთვე ამას შეუდგა სადილი—სადილი ინება წინამძღვარმან ყოველთა თანა ერთად საზოგადოსა ზალატსა შინა; სადაცა ყოველნი ვსხედით სინარულითა; და განძობასა თანა ხორცთასა განძობობდითცა სულათა, პირისა მისისა საუბრებათაგან . . . სადილსა ზედა მიიერთკა სასმელი, სადღეგრძელოდ მეთვისა და ექსარხოსისა და ძმათი, რომელთა სადღეგრძელოთა ზედა მოხუცმა მამა იერო-მონახმა გერასიმემ, აღტაცებულმან სინარულითა წარმოსთქვა გალობით მრავალ ყამიერ.

ამასვე ყამისა გვიბრძან წინამძღვარმან ყოველთა რათა ყურად ღებით ვიკითხვიდეთ, ახლად გამომაკაღსა ყურჩაღსა «საქარტუელის სასულიერო მახარებელსა». რომელმან დასამტკიცებულად საჩუბლობისა მისგან გამომაკაღისა; მოგუცა ჩუწნი პირველი ნომერი წიგნისა ამის; და წარგუაკითხა თვით თავიდაცან მშენიერნი დოღმატიკურნი სწავლანი და სხვანი; ეგრეთვე აღწერა მონასტერთანი წარგუაკითხა, თუ ვითარ არს აწინდელი ცხოვრება ჩუწნი მათდამი; და ესე ყოველი იყო ჩუწნდა საღმობულად გულისა,—ხოლო ჩუწნი უქონელობისა გამო ესრეთის სასარგებლოჲსა წიგნისა ვეკედრენით წინამძღვარსა გამოწერა მისი საძმოდ მონატრისათვის, რომელმანცა აღგუითქვა და უყოვნებლივ აღსრულება . . . შემდგომ სადილისა არა მიმხედველმან დაღლილება ზედა მოგზაურობისა თვისისა, წაბრძანდა და მოიხილა საძოვარნი ადგილნი უდაბნოსანი.

ესრეთ განვლო დღემანცა ამან მშვიდობით სინარულსა შინა, ხოლო მესამესა დღესა შეკედით მტირე ოღენსა მჭმუნვარებსა და სულ-მოკლეობასა, რამეთუ თანამდებობისამებრ, ინება წაბრძანება ალაკერდის სობოროსა შინა, მიგებებად მუნ დიდისა მთავრისა მხაიღისა; ხოლო მან ყოველთა სიმდაბლითა და სიყვარულითა აღგუითქვა მალე ხილვა ჩუწნი,

და აწა დატყუებდა ჩუქნი და აბლად; ესრეთ ყოველნი შეუდგოთ და გა-
კაცილოთ რაოდენსავე საყენსა მონასტრიდგან და თვითცა თუჩნითა სია-
რულსა იკადრებდა ჩუქნიანა. დასასრულს გვაკურთხა ყოველნი და ესრეთ
წაბრძანდა. ხოლო ჩუქნი მოქცეულნი ვითხოვდით ღმთისაგან, კვალადცა
ხილვასა მისსა მშვიდობით.

და აწა მისგან წარმოთქმული მოძღვრება: საყვარელნო ქრისტეს მიერ
ძმანო ჩემნო! მსურის მე გამოგიცხადოთ თავი ჩემი, რომელ მე უმ-
რწყემესსა და მდაბალსა ძმათაგანსა თქუქნისა, განგებითა ღმთისათა, მხვდა
ხვედრი თანა-ძმობისა და თანა-მოღვაწეობისა თქუქნიანა, თუმცადა უღირ-
სებაჲ და სიმდაბლე თავისა ჩემისა მაძიებებს თქმად, რომელ ვიკრძაღ-
ვი ამა დიდისა თანამდებობისაგან, რომელსა მერწმუნების სასულიეროს
მთავრობისაგან მმართველობა წმიდისა ამის მონასტრისა და პირველობა
თქუქნი ძმათა შორის, რომელი მომაგონებს მეკმას შემთხვევასა, ოდეს-
ცა უფალი ჩუქნი იესო ქრისტე წარგზავნიდა მოწიფეთა თვსთა მასწავ-
ლებულად ერთა, წინათვე ამხილებდა მათ ყოველთა სიმძიმეთა მოციქუ-
ლებისათა და მოითხოვდა მათგან უაღრესთა სწეობითთა თვისებათა და
მასთანავე სიბრძნესა და უმანკობასა მეტყუელი: « თქუქნი ხართ მარტირნი
« ქუქუანისანი თქუქნი ხართ ნათელი სოფლისანი » (მათე. 5 13.
14.) ხოლო მე ცოდვილი, მკრძნობელი უღირსებისა-თვს თავისა თვსი-
სა აწა ვიქადი მარტირად ქუქუანისა, გარნა მხოლოდ შეუწოდები და ვსა-
სრებ მოღვაწეობათა სიწმიდისა თქუქნიისათა, რომელთა აფიჩხევიესთ უდაბ-
ნო ესე უგზო და ურწყული და თავიანის-სცემთ წმიდათა გვაშთა კეთი-
ლად აღსრულებულთა წმიდასა ამას მონასტრისა შინა და ქვაბთა და
ხერულთა გარემოს წმიდისა ამის ადგილისათა, რომელთაგან ბრწყინვი-
დენ უმრავლესნი და უდიდესნი საქმიითა და სიტყვითა: « ვცრეთ ბრწყინ-
ვიდინ ნათელი თქუქნი წინაშე კაცთა, რათა იხილონ საქმიანი თქუქნი-
ანი კეთილნი და აღიდებდენ მამასა თქუქნისა სუცათასა. (მათე 5, 16).

ამისთვის გლოცავთ და გუკუდრებით საყვარელნო ძმანო ჩემნო! რე-
თა პირველად გამოვიხატვიდეთ სიმხუფეთა მონასტრისათა და ესრეთ

სასრუბით და გულის-მოღვინებით ვიღვწოდეთ ქრისტეს მაცხოვრისა მჩუქ-
ნისა-თჳს, რომელი სანუგეშოდ მონაზონთა იტყვის: « რამეთუ ულე-
ლი ჩემი ტვილ-აწს და ტვირთი ჩემი სუბუქ აწს ». — მიუხედოთ
ქვაბთა და ხვრელთა გაწემოს წმიდისა ამის მონასტრისათა, რადენნი
აწიან აღსრულებულნი მოღვაწენი და რადენთა უკვე მიუღიესთ გვირ-
გვინნი მოთმინებისა, სულგრძელებისა და სათნოებისა: — თჳს, მათ უტვირ-
თავსთ ჳვარჩი ქრისტესი და ულელი და მადლითა მისითა სუბუქად უე-
ჩუწ აღსრულებითა ყოველივე ტვირთი მშიშე და ძნელიად მოსათმენი,
და ჩუწნცა შეუდგეთ მაგალითსა მათსა და კაღსა სიწმიდისა მათისათა
და გულ-სავსებით სასრუბით ვიღვწოდეთ სხვათაცა მოქცევად და მოყვან-
ებად ჩუწნთა მონაზონებისადმი და შედგომისადმი ქრისტესისა, ვი-
თაწმედ მოციქული იოაკობ დიდ მადლად და მოღვაწებად შეუთვლის
კაცსა, რომელიც შეიძლებს მოქცევისა შეტომილისასა საცთურისა და
ურწმუნოსა გზისაგან, მეტყველი: « ძმანო უკეთუ ვინმე თქუწნ შორის
« შესტოეს ჭეშმარიტებისაგან და თუ ვინმე მოაქციოს იგი, უწყოდე რა-
« მეთუ რომელმან მოაქციოს ცოდვილი გზისაგან საცთურისა მისისა იხ-
« სნეს სული თჳსი სიკვდილისაგან და დაჭუაროს მრავალნი ცოდვანი »;
(იაკ. 19. 20.)

და მეორედ ძმანო ჩემო ! მტკიცედ უბდა გვახსოვდეს უმთავრესი
მსახურება ჩუწნი, რომელ მიგვიღებდეს ჩუწნი ყოველთა ჩინებული და
სადმრთო ვაღდებულებსა გინა სქემა მონაზონებისა, რათა ვზრუნვიდეთ
ვითარცა ცხოვნებისა-თჳს, ეგრეთვე სხვათა კაცთა-თჳს, « რომელნი სხე-
დან სიბნელესა და აჩრდილთა სიკვდილისათა », და აწა ოდესმე შეკორ-
გულდეთ და აწა შეკშინდეთ სიმძიმისაგან ვაღდებულებისა ჩუწნისა, რომ-
ელსა შინა შეგვეწევის მადლი ღმრთისა, უძლურებასა ჩუწნსა განკურ-
ნებს და ნაკლულევანებასა ჩუწნსა აღავსებს, მოთმინებისა და სულ-გრძე-
ლებისა: — თჳს ჩუწნისა, და ესრეთ მინდობილნი უფლისა ჩუწნისა იესო
ქრისტესისა შეუკრდეთ უზესთაესსა მწყემსო-მთავარსა და სულსა წმი-
დასა, მასწავლელსა ყოვლისა ჭეშმარიტებისასა და თჳთცა განკვირდეთ

უკვე ძალითა ქრისტეს მაცხოვრისათა და მართლ ქრისტიანებრივითა კანონ-
თა შინა და ვიუვნეთ სიტუვისაებრ მოციქულისა სხვათაცა «სახე სიტუვითა,
ცხოვრებითა, საყვარულითა, სულითა, საწმუნოებითა, სიწმიდითა, უან-
გაობითა, უბიწოებითა, უმთვრალობითა, კეთილ-მსახურებითა, სიმშვი-
დითა, კეთილ-გონიერებითა, და იყავნ ყოველთა-თჳს ყოველად, რათა ყოვე-
ლისა ღონის ძიებითა აცხოვნო ვიეთნიმე. —

და ესრეთ, საყვარელნო ქრისტეს მიერ ძმანო ჩემნო! მე გაუწყე
თქუენ ვითარ უკვე შექმლო სულსა ჩემსა ვაღდებულება ჩუენი საზო-
ბელსა ზედა სიწმიდით მონაზონებისა-თჳს ჩუენისა, აწ მსურის გაუწყ-
ვით თქუენ კეთილ-მდგომარეობისა-თჳს და ცხოვრებისა წმიდასა ამას
მონასტერსა შინა.

— იყო დრო ოდესცა წმიდასა შინა აღვილსა ამას იუვენე წმიდანი და
ღუთივ მიმადლებულნი გვამნი, დამაშვრალნი ამას შინა ასნი და ბეკრე-
ულნი; იყო დრო, ოდესცა დროთა და ჟამთა ვითარებისაგამო, თუმცა-
და დამცირდენ უკუწ რიცხვნი მათნი და მით წმიდა მონასტერი ესე
იყო მიხწყულ დაცემისადმი და მხოლოდ ჭფარაკდა მას აჩრდილნი
ბრწყინვალებათანი წინათ ნაშრომთა ძმათა და მამათანი, ამ ჟამად განგება-
მან ღუთისამან მოუვლისა წმიდასა ამას მონასტერსა მამანი ესრეთნი,
რომელთაცა მრავლითა გულს-მოღვინებითა და შრომითა იღვასწესწმიდასა
მონასტერსა ამას შინა, კეთილად მოღვაწეობითა აღადგინეს მონასტერი ესე
და გამოიხსნეს სიღარბისაგან; «სხვანი დამაშვრალ არიან, ხოლო თქუენ
შრომილსა მათსა ზედა შემოსრულ-ხართ». სიტუვანი ესე მახარებელი-
სანი მოგვეწერებინ ჩუენ, ძმანო ჩემნო! რომელთა ვაღდებულება არს,
რათა ნაშრომთა წინა მოადგილეითა ჩუენთა კეთილად დავიცვიდეთ და
არა განვუარტიდეთ უსარგებლოდ და მით არა მივახწყევინოთ თავთა
ჩუენთა და წმიდასა ამას მონასტერსა სიღარბისადმი ურთიერთარს თან-
ხმობითა, მოღვაწეობითა და შრომის მოყვარებითა, რომელსედაც შემწე
და მთარველ გვექმნების ჩუენ მაღლი იოანე ნათლის-მცემელისა. —

ამასთანავე ვიგადნიერებ წინა დაგიდოთ საყვარელნო! რომელ მე არა

ადეს ანა ძალშიმს ვაღისებრ ჩემისა პირსათნობად ანა წამლისამე
თქუწნგანისა და ყოველთავე გაუწყებთ და გაგაფრხილებთ, წამელ თუი-
თოეული თქუწნგანი მიიღებს ჩემგან კვალად გებასა, კეთილისა და ბე-
წმტისა წილ, წამლისა თვის წინათვე ვითხრე მოტეკებსა, ხელთ თუ-
ნიერ ვაღდებულებისა ჩემისა შესახებ სამსახურისა, მე მზაკებთ თქუწნ
ვითარცა ერთსა უმცირესსა ძმათაგანსა თქუწნსა. — ამინ.

მორჩილი იოანე ნათლის-მცემლის უღაბნოადა,
იოანე ბერძენი გვი.

მოგუთა თაუვანისცემისა-თჳს.




ოდესცა იესო იშუა ბეთლემს ჭურჩიასტანისასა დღეთა ირადი მე-
ფისათა, მაშინ მოგუნი აღმოსავლეთით მოვიდეს იერუსალიმად და იტ-
ყოდეს, სადა არს რომელი იგი იშუა მეფე უჩიათა, რომეთუ ვინილეთ
ვარსკუთხავი მისი აღმოსავლეთით, და მოკედით თაუვანის-ცემად მისსა,
ვითარცა ესმა ესე ირადი მეფესა შესძრწუნდა და ყოველი იერუსალიმი
მისთანა და ბექკრემნა ყოველნი მღუდელთ-ითავარნი და შწიგნობარნი
ერისანი და გამოიკითხვიდა მათგან, სადა უკუჩს შობად არს ქრისტე, ხო-
ლო მათ ჭკჩუჩს შეთლებს უჩიასტანისასა, რომეთუ ესრეთ წერილ არს
წინასწარმეტყუჩლისა მიერ: « და შენ ბეთლემ ქუჩყანა ეგე იუდასი, არა
სადა უმრწემეს-ხარ მთავართა შორის იუდასთა, რომეთუ შენგან გამოვი-
დეს წინამძვარი, რომელმან დაჭმწესოს ერი ჩემი ისრაილი ». (მიქ. ე. ბ.)
მაშინ ირადი იდუმალ მოუწოდა მოგუთა მათ, და გამოიკითხა მათგან
ჟამი იგი გამოჩინებულისა მის ვარსკუთხავისა და წარავლინა იგინი ბეთ-
ლემად და ჭკჩუჩა, მიკედით და გამოიკითხეთ ჭეშმარიტად ყრმისა მის-
თჳს, და რაჟამს ჭეგოეთ იგი, მითხართ მე, რათამცა მივიდე და თაუ-
ვანი-ვსცე მას. ხოლო მათ, ვითარცა ესმათ ეს მეფისა მისგან, წარვი-
დენ, და აჭა ვარსკუთხავი იგი, რომელი იხილეს აღმოსავლეთით, წინა-უძ-
ლოდა მათ, ვიდრემდე მოვიდა და დააგრა ადგილსა მას, რომელსა იყო

ყრმა იგი. ხოლო მათ, ვითარცა იხილეს ვარსკუთავი იგი, განიხარეს სინარულითა დიითთა თურიად. და ვითარცა შევიდეს სახლსა მას, იხილეს ყრმა იგი მარიაშის თანა დედისა თვისისა, და დავარდეს და თაყვანის-სცეს მას. და აღაღეს საუნჯეთა მათთა, და შესწირეს მისსა ძღუწნი ოქრო, გუნდრუკი და შური. და მოიღეს ბრძანება ჩუწნებით, რათა არა მიიქციონ იროდისა, არამედ სხკით გზით წარვიდნენ სოფლად თვისსა. (მატ. თავი ბ. მუხლი-ა. იბ.)

ძველი გარდამოცემა მოკვთა ამათ უწოდებს მეუბად; და ესე ესრეთ საგონებელ-არს, რომელ იგინი იუქნენ მოფლობელნი, უკეთუ არა მრავალთა მხარეთა, მაშა არცა მცირედთა ტომთა გინა ქადაქთა. სახელები მათი: პირველისა შელქიორი, ესე იყო მოხუცებული, ამანვე მოართვა ქრისტეს ძღუნად ოქრო, ვითარცა ხარკი შეუესა; მეორესი გასპარ, ჭაბუკი არა მქონებული წვერისა, რომელმანცა მოართვა შური, ვითარცა შესაწირავი ღმერთსა; მესამე ბალტასარ. პირვეტკვალნი, ამან მოართვა გუნდრუკი საღმრთოსა ყრმასა, ვითარცა ნიჭი მესა კაცისასა, მომლოდნელსა ჩუწნთვს სიკუდილის მიღებისასა. ვარსკუთავი წინამძღუარნი მოგუთა წმიდის ოქროპირის განმარტებით იყო არა ჩუწნულებრივთა ვარსკუთავთა რიცხვთაგანი, არამედ ღუთაებრივი რამე, გინა ძალი ანგელოსებრი გამოცხადებული სახედ ვარსკუთავისა.

ნაწილი წმითა ამათ ბრძენთა, შემდგომ რადენთამე წელთა, გარდასკენებულ-იქმნენ, პირველად კონსტანტინოპოლში, შემდგომად მედიოლანში და დასასრულ კელნიასში.

სუინაქსარი კე-ს რიცხუს დეკემბრისას.



მ ო თ ხ რ ო ბ ა

ყოვლად-წმიდა ქალწულის ღმრთის-მშობლის ლტოლ-
ვისა-თჳს ახალ-მობილის ურძითურთ ეკვიპტედ, შე-
კრებული საღმრთოს სახარებოდაჲ, წმიდათა მამათა და
ღირს სარწმუნოთა მწეწალთაგან.

შემდგომად მისა, ვითარცა მოგონი იგი ბეთლემით განეშორნეს, გამოეტ-
ხალა ანგელოსი იოსების და უბრძანა მას რათა ივლტოდეს ეკვიპტედ,
ახალ-მობილის ურძისა და ყოვლად-წმიდის დედითურთ მისით და იყო-
დეს მურ მაღუბადილქ მეორის ბრძანებასა, მისთჳს რამეთუ იროდემ
განიხრახა მოძიება ურძისა, რათამტა მოკლას იგი. აღსდგა იოსებ წა-
რეყვანა ურძა დედითურთ მისათ და წარვიდა მათთანა ეკვიპტედ; გარნა
არა უწინარეს კიდრემდის აღესრულოს წესნი წარმოწერილნი ჭსჯულისა
მიერ, ესე იგი, შემდგომ ყოვლად წმიდის ქალწულის განწმედისა და
მიწქმისა უფლისა ჩუწნისასა სიმეონის და წინასწარმეტყუელსა ანას-
მიერ. და ესრეთ აღსრულეს რა ყოველი ბრძანებული ჭსჯულისა-მიერ,
უკუნ-იქცნენ იოსებ და მარიაჲ ნაზარეთად სახლსა შინა თჳსსა, ვითარ-
ცა უბნობს წმიდა ლუკა: «აღსრულეს ყოველი ჭსჯულისამებრ ღმრთისა.
უკუნ-იქცნენ იგინი გალილიად ქალაქსა თჳსსა ნაზარეთს.» ამათ სიტყუა-
თაგან ჭსჩანს, რომელ იგინი წარვიდნენ არა ზირ-და-ზირ ეკვიპტედ, არა-

მედ ზიკუელად ეკლესიას უფლისას, მუნით ნაზარეთად და შემდგომ უჩუქ ეგვიპტედ. ესრეთ შეათანხმებს მოთხრობათა მახარებელთასა წმიდა თეოფილაქტეცა განმარტებასა შინა თვისსა; სიტყუათა-თანა მატთესთა ჭკითხავს იგი, ვითარ სავულის-ხმებელ არს ესე, რომელ მოთხრობისამებრ ლუკა მახარებელისა, უფალი ჩუქნი მიიქუა რა სიმონის მიერ შემდგომად მამონისა დღის განკლისა, შემდგომად შობისა მისისა, წარვიდა იგი ნაზარეთად; ხელთ მოთხრობისამებრ მატთესა, იგი დაემკვიდრა ნაზარეთს, შემდგომ ეგვიპტით უკმოქცევისა. ვითხვისა ამის განმარტება ესრეთ შესაძლებელ-არს. მათე მდუმარეობს ამისთვის, რა იგი მოხდა მსწრაფელ შემდგომ შობისა უფლისა, ესე იგი (ზიკუელ მოსკლისა-თვის ნაზარეთს), და მოგვითხრობს მისთვის რადცა იქმნა შემდგომ, ესე იგი ლტოლვისა-თვის მისისა ეგვიპტედ და მეორედ მოქცევისა-თვის ნაზარეთად. ხელთ ლუკა მოგვითხრობს მოგზაურებისა-თვის მისისა ბეთლემით ნაზარეთად. მაშასადამე რნივე ესე მახარებელი არა სხუაობენ მოთხრობათა შინა თვისთა. და ესრეთ იოსებ და მარია მიიქცნენ რა ტაძრიდამ ნაზარეთად განაკოს საქმენი შესახებელი სახლისა მათისანი და წარიღეს სახმარნი გზაზედ და რათამცა არა ჭსტნან მისთვის მებობელთა მათთა დაუყოვნებლივ ღამით წარემართნეს ეგვიპტედ.

მათ წარიყვანეს თვისთა იაკობიცა უუმცროვნესი ძე იოსებისა, რომელიცა შემდგომ ძმად უფლისა იწოდა, ვითარცა ჭსტნან ესე ეკლესიის სავალბელთა შინა, დაწერილთა ტრიფოლოღსა შინა (ВЪ ТРИФОЛОГІИ) ეგ-სა რკტომბრისასა: « შენ ბრძენო იაკობ, სავუარელო ძმაო და მოწაფეო უფლისა და თვთ მხილველო საღმრთოთა საიდუმლოთაო, იგლტოდო მისთა ეგვიპტედ, იყავ მუნ იოსებისა და დედისათა იოსისასა ».

რადსათვის კეთილ-ნება უფალმან ლტოლუა ეგვიპტედ? — ზიკუელად ამისთვის, რათამცა გვჩუქნოს, რამეთუ იგი არს ჭეშმარიტი კაცი ხორციით შემოსილი, და არა სული ვითარძიე, გინა მსგავსება; ესრეთ იტყვის წმიდა ეფრემი: « უკეთუ იგი არა ყოფილ-იყო კაცი ხორციელი, მაშასამცა ძალ ედვა იოსებს წაყვანება მისი თვისთა, და ლტოლვა ეგვიპ-

ტედ? — მეორედ, რათამცა გვასწავოს ჩუქნი განშორება რისხვისა და გუ-
ლის-წყურებისაგან ძლიერთა კაცთასა, ვითარცა განმარტებს იოანე რქ-
რეზი: « უფალმან მიეფარა, რა ეგვიბტედ, გვასწავა ჩუქნი ლტოლ-
ვა კაცობრივის მრისხანებისაგან; ვინაჲთგან უკეთუ თუთ უოკლისა-შემ-
ძლებელი ივლტვის მისგან, მაშ ჩუქნი ვითარძი ვიქმნეთ ესრეთ ამხარტა-
ვან, რამელ ნებით შევსტვივნეთ განსაცდელსა სპინელსა? — მესამედ მის-
თჳს, რათა განსწიდოს კერზთაგან და განანათლოს ეგვიბტე, წმიდა ჰაჰა
ლევი ჭსჯის, ვითარმედ მხარე ესე, რამელსა შინაცა დაკუღითა კრავი-
სათა მოსწავებულ-იუო მაცხორებითი ნიში ჯვარისა, და ჰასექსა უფლი-
სასა აქუნდა, რამელიმე მონაწილეობა წინად-განმზადებულსა შინა უმაღ-
ლესისა მსხერზლისასა. დასასრულ-სახმარ მისდა იუო ლტოლვა ესე
რათამცა აღესრულოს წინასწარმეტყუწლებსა ისაიასი: « აჰა უფალი ზის
ღრუბელსა ზედა სუბუქსა და მოკალს ეგვიბტედ და შესძრწუნდენ ხელით
ქმნულნი ეგვიბტისანი ჰიჩისაგან მისისა. » (ისაიასი თავი. ით. მუხ. ა.)

წმიდის ამკრისის განმარტებისამებრ ღრუბელი მოასწავებს უოკლად-
წმიდასა ქალწულსა, რამელსა ებურა ხელთა თჳსთა უფალი, რამლისა
მიანლოკებისათანა დაეცნენ კერზნი ეგვიბტისანი; და ღრუბელი ესე იწე-
ლების მსუბუქად, მისთჳს, რამეთუ უოკლად-წმიდა ქალწული არა იუო
დამძიმებულ არა ვითარითა ცოდვითა ანუ ვითართამე გულის წადილთა
არა წმიდათა.

არის გარდამოცემა, რამელ ეგვიბტის გზაზედ ერთსა უღაბურსა ადგილ-
სა მოუხდნენ მათ ავაზაკნი და მოენებათ მათ წართმევა კარაულისა, რამ-
ელსა ზედა ევიდა მტირედი საგძალი მათი და რამელსა ზედაცა მაშ-
კრალი გზითა რდესმე ჯდებოდა მარიაჲ ყრმითურთ თჳსით, გარნა ერთ-
მან მათ ავაზაკთაგანმან იხილა გამოუწერელი მშკენიერება ყრმისა, გან-
ჭსტვიფრდა და ჭსთქუა: უკეთუცა ღმერთსა მიელოს ხორცი კაცობრივი,
არამცა შესაძლო-იუო მისდა უმშკენიერეს ყრმისა ამის უოთად. ჭსთქუა
ესე და შეაყენნა მან ამხანაგნი თჳსნი და არა უტევა იგინი ვნებად მგზა-
ვრთა მათ. უოკლად-წმიდამან ქალწულმან ჭრქუა ავაზაკსა მას: « უწყოდე,

რომელ ყრმა ესე, (მისთვის, რომელ შენ ესე დაიტყვ), მოგაკებს შენ დიდსა ჟილდოსა.» ავანაკი ესე იყო თვით იგი, რომელიცა შემდგომში ქრისტესათანა ჟვარს-აცვეს მარჯუწმით, და რომელსაცა უთაღმან ჭრქუა: «დღეს ჩემთანა იყავ სასუფელსა შინა», და ესრეთ აღსრულდა წინასწარ-მეტყუწმლება დედისა ღუთისა.

შერავიდნენ მხარესა შინა ეგვიპტისა და საზღვართა თიბაიდისათა მი-
ეახლნეს იგინი ერმონოლის ქალაქსა, თვით ბჭეთათანა ამა ქალაქისათა
იდგა ერთი ხე ფრიად დიდი და მშვენიერი ჰესიად უწოდდენ, ხოლო ერი
მიდრეკილი გერბთ-მსახურებისადმი თაყვანის-სცემდეს და ჩუწულებრისა-
მებრ თვისისა შესწირვიდეს მსხუერბლსა, ვითარ იგი ღმერთსა, პატრიკის-
მცემელნი სიდიდისა და უჩუწულოსა მშვენიერებისა მისისა. ხესა ამას შინა
ჭსხოვრებდა ეშმაკი, რომელსა დაბრმავებულნი წარმართნი პატრიკს-სცემ-
დეს. მიწასხლოვდა ყოვლად-წმიდა ქალწული ღუთაებრივის ყრმითურთ
ხესა მას, მაშინ ძლიერად შეიჩუა და ეშმაკი შეშინებული მისუღითა მუნ
იესოს ქრისტესითა განიფტო, ხოლო ხემან მოიდრეკა წვერი თვისი
მიწადმდე, და მით მისცა ჟეროვანი თაყვანისცემა თვისსა შემოქმედსა და
ყოვლად-წმიდასა დედასა მისსა. იგი ავრჩილებდა მათ აჩრდილსა ქუწუ-
მრავალთა ფურცელთა თვისთასა ყამსა მძათურისა მზის სიტხისასა, რათამ-
ცა დამაშუქალნი გზისა მიერ, წმიდანი მოგზაურნი განისვენებდეს სი-
გრილესა შინა აჩრდილსა მისსა. ხე ესე დაშთა ეს ერთ დადრეკილ ნიშად
ეგვიპტეს შინა ღუთის მიბრძანებისა. შემდგომ ყრმისა წმიდის დედი-
თურთ თვისით ხესა მას ქუწუ განსვენებისა, ხემან მიიღო ძალი მკურ-
ნალობისა და ფურცელნი მისნი ჭკურნებდეს ყოველსა გვარსა სნეულე-
ბასა. მოგზაურნი შერავიდნენ ქალაქსა, მსწრაფლ გერბნი დაეკვეთნეს უმ-
თავრესსა ბომონსა შინა წარმართთასა თუხთ სადგურთა თვისთავან. ამა
ბომონისა-თვის მოიხსენებს პალადიონ ლავსიაკში: «მუნ (ესე იგი ერ-
მონოლში) ვინილეთ ჩუწნ გერბთა ტაძარი, რომელსა შინა მისუღითა მს-
ცხოვრისათა ყოველნი გამოქანდაკებულნი წარმართნი დაეცნეს მიწაზე.»
მსგავსადვე მოხდა ერთსა სოფელსა შინა სირედ წოდებულსა. სამას სამ-

ოც და ხუთი კერძნი დაეკეთეს მუნ და შეიმუსნეს, ოდეს იგი მაცხოვარი შევიდა მუნ თვის ყოვლად-წმიდის დედითურთ. ყოველნი კერძნი ეგვიპტისანი, შეიმუსნეს მისკლითა უფლისათა და ეშმაკნი მათ შინა მსხდომარენი ივლტიან მათგან ხმითა ღაღადებისათა. და ესრეთ უკუტყუა მისისა ეგვიპტეს შინა მყოფობისასა აღსრულდა წინასწარმეტყულებსა იერემიასი, ვინაჲთგან იერემია, ვითარცა ჰსწერს წმიდა ეპიფანე ცხოვრების აღწერასა შინა მისსა, წინადვე აუწყათ მღჴდელთა წარმართთასა, რამეთუ ყოველნი კერძნი ეგვიპტისანი შეიმუსრებიან, ოდეს მოკალს მუნ დედა უფლისა ქალწული ყრმითურთ მისით, რომელსა ეგულებს შობა ქუჩასა შინა და მიწვენა ბაგასა შინა. ყამითგან წინასწარმეტყულებსა ამის ეგვიპტელთა შორის შემოვიდა ჩუტყულებსა, გამოხატვა ქალწულისა განსვენებულისა სარეტელსა ზედა და ყრმისა მახლობლად მისა მწოლარისა ბაგასა შინა და წარხვეულისა სახვეველითა და ესე ვითარსა გამოხატულებას თაყვანის-სტემდნენ. მეუკემან პტოლომემან ჰკითხს ერთ-გზის ეგვიპტის მემსხვერპლეთა: რაჲსათჳს იქმენ ამას? ხოლო მათ პასუხ-უგეს: ესე არს საიდუმლო ერთისა წმიდისა წინასწარმეტყულებისა მიერ უძველეს აღრე მამათა ჩუტნთადმი წინად უწყებული, და ჩუტნ მოკვლით, კვალად წინასწარმეტყულებსა ესე აღსრულდების და საიდუმლო ესე მოხდების.

შემდგომად ამისა მიიქცეს ყრმობილის ქალაქსა და ეძიებდეს სადგურსა თვისსა, იოსებ და მარიაჲ შევიდნენ დაბასა რომელსამე ნატარეიად წოდებულსა, რომელი იყო მახლობელად ილიოპოლისსა, მახლობელადვე დაბისა ამის იოსებ დაუტევა ჯელუსა ქუჩაჲსა ყოვლად-წმიდა ქალწული მარიაჲ; და თვით წარვიდა სოფლად მოსატანად, რაჲცა იყო საჭირო მათდა, ხე, რომელსა ქუჩაჲსა განისვენებდნენ საღმრთონი მოგზაურნი, განიყო ორად ზეიდაჲ ვიდრე ქუჩამოდმდე და დადრეკილთა ზენათა რტოთა თვისთათა გამოსახვიდა მათ ზედა ხრდილსა მსგავსა რაჲსამე კარვისასა, ხოლო ქუჩამორე თესვისათანა ხისასა გაისხნა დასაჯდომელი და მას ზედა ყოვლად-წმიდა ქალწული იფარებოდა ღუთაებრივისა ყრმითურთ.

ადგილი ესე კიდრე აქამომდე არს დიდსა პატრიარქისცემასა შინა, არათუ მხოლოდ ქრისტიანეთაგან, არამედ თვით სასატიანელოთაგანცა, რომელნიცა (კითარცა ამას იტყვიან თვით თვალთ მხილველნი) და ამას დასაჯდომელსა შინა აღამთებდენ ღამჰართა პატრიარქად ყოვლად-წმიდისა, რომელიცა მას შინა ყრმითურთ თვსით განისვენებდა. იოსებს და მარკოსს სათნო უხნდათ დაშთომას დაბასა ამას შინა, სადაცა მათ ჭბოკეს თვსთა სავანე არს დაშთობით ხისა მისგან სტუმრის მიმღებელისა, მეორეცა სასწაული იქმნა მუნ ძალითა განხორციელებულისა სიტყვისა ღმთისათა. მახლობლად ხისა მის გამოხნდა წყარო წყალისა ცხოველისა, რომლისგან ყოვლად-წმიდა ქალწული აღმოიკვებდა წყალს თავისა თვისისათვის და განჭბანდა მას შინა თვსსა ღმთაებრისა ყრმასა. წყარო ესე აქამომდე არსებობს, რომლისა წყალი არს წმიდა, ცივი და მკურნალი. და ესე ამით უსაკვირველეს არს, რომელ სრულიად ამა მხარესა ღკარემოს მისსა არს ერთი ოდენ წყარო წყლისა ცხოველსა, რომელიცა იდიდების, კითარცა იშვიათი რამე გამოცხადება.

აჭა ყოველი რაოდენიცა რა უწყებულ-არს ყოვლად-წმიდის ქალწულის ქრისტესითურთ ეკვიპტის ქუჭყანასა შინა მეოთხობისა-თვის. მათ იცხოვრეს მუნ რაოდენიმე წელი. სახელდობ, რაოდენი არს უწყებულ-არს, კითარმედ წმიდა ეზიფანე უხნობს: ორი წელი, ნიკიფორე სამი; გიორგი კადრინი ხუთი; ხოლო ამომნი ალექსანდრიელი შვიდი. ხოლო ერთი საწმუნო არს, კითარ იგი წერილ-არს სახარებასა შინა, და დაჭყეს მუნ სიკუდილადმდე ირადისა.

შემდგომ აღხორცისა ყრმათა ბეთლემს და შემდგომ ბორცტის ირადის სიკუდილისა, ანკელოსი უოლისა, კვალად გამოცხადა ძილში იოსებს და ჭრქუას: აღსდებ აღილე ყრმა ეკე და დედა მაგისი და წარკედ ქუჭყანასა ისრაილისასა; ვინაფთგან, რომელი ეძიებდეს წარწყმედასა ყრმისა მაგისასა მოსწყდეს. აღრასდგა ძილისგან იოსებ, წარვიდა ყრმითურთ და დედით მისით ურიასტახს, რომელიცა დროსა მასა ქუჭყანასა ისრაილისასა იყო უწარხინებულესი სამთავრო, გაჩნა ესმა რა იოსებს, რომელ არქელაოზ მეოთხეს მუნ შემდგომ მამისა თვსისა ირადისა, იშიშ-

ვლად წარსულასა მუნ. გარნა მეორედ უწყებულნი ძილში ანგელოზისა ვი-
ერ იოსები წარმეგზავნა გალილიას საზღვართა ანტიპი ირადისათა, სამ-
თულობელოსა შინა ძმისა აჩქელაოზისასა, რომელიცა მთავრობდა მუნ
უმშვიდესად ძმისა თვისისა. იოსებ დაემკვიდრა ნაზარეთის ქალაქსა შინა
სახლსავე შინა თვისსა, სადაცა უწინარეს მისა ჭსტხოვრობდა. და ესე ვი-
თარითა სახითა აღსრულდა წინასწარმეტყულებსა ქრისტეს-თვის: « რამე-
თუ ნაზარეთელ ეწოდოს ». დიდება მას აწ და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

წმინდა ნიკკეთი

ეკლად-წმიდის ღმრთის-მშობლის ცხოვრებისა შემდგომ ამაღლებისა უფლისა ჩუზნისა იესო ქრისტესა.

წმიდა ლუკა წიგნსა შინა საქმე წმიდათა მოციქულთასა სწებს, რომელ შემდგომად ქრისტეს ზეტად ამაღლებისა, მოწათენი მისნი მოიქცეს რა ელენის მთიდაჲ იერუსალიმს, და შეკვიდნენ იგინი სახლსა მას შინა, რომელსა აღასრულა ქრისტემან საიდუმლო მწუხრი, ეგნეს მუნ ეკველნივე ერთბამად ერთობასა და კედრებასა შინა მარია მითუროთ იესოს დედისა და სხუათაცა დედათა. ხოლო შემდგომად უფლისა განსკლისა ჭზობდეს იგინი ჟამსა მწუხარებისასა ნუგეშსა და შკებასა ერთი ოდენ ეკლად-წმიდასა შინა ქალწულსა, რომელი განსწავლიდა მათ და დაამტკიცებდა საწმუნოებასა შინა. მან დაიტვა გულსა შინა თვისსა, მოისენებდა სასწაულთ-მოქმედებათა, შესრულებულთა მის ჟამიდან ოდეს ახარა მას გაბრიელ განუხწრელად შობა მაცხოვრისა ქალწულებრივის საშოსა მისისგან სიყრმისა-თვს იესოსა და ეკლადისა მისთვს რადენიცა რა იქმნა უწინარეს იოანეს მიერ ნათლის-ღებისა მისისა და ეკველთა ამათ გაკლამოსტემდა საყვარელთა მოწათეთა ძისა მისისათა, მოეცემოდა რა მას სულისა მიერ წმიდისა და უწყოდაცა საკუთარის ხილვითა სრული გამოცხადება ღმრთაებრივისა-თვს ძისა მისისა, თვითოეულად მოუთხრობდა მათ მოქმედებათა, შესრულებულთა ძალითა უფლისათა უწინა-

ნარკეს მის მიერ ქადაგებისა წყებისა, და ესრეთ, დაამტკიცებდა თანამ-
ზრახველთა თვსთა სარწმუნოებასა შინა ჭეშმარიტებისასა. ყოველნივე იგი-
ნი ილტვიდეს სახლსა მას შინა და მოელოდეს აღთქმასა უფლისასა, რა-
მელ იგი მოუგლენს მათ სულსა წმიდასამ ამისაგან თვისისა და განემზადე-
ბოდეს მიღებისა-თვს ნიჭთა მისთასა. ხოლო განგლორისათმან დღემან,
შემდგომად ქრისტეს ამაღლებისა, სული წმიდა ენითა ცეცხლისათა მოეფინა
მოციქულთა და უწინარკეს ყოველთა ყოვლად წმიდა ქაღწულსა, რომელსა
შოკის უწინარკეს მისსაცა აქუნდა სათნო, საყვარელი და განუმორებელი
მყოფობა. უმოკროსად გურთხეულმან ქაღწულმან უუხვეს უმეტესადრე ყო-
ველთა მოციქულთა მიიღო მასშინ სული წმიდა, ამისთვს რამელ, რა-
დენ უდიდეს არს ჭურჭელი, ეგოდენ უმეტეს შესაძლო არს დაიტოს
თვს შოკის რამე სასმელი, ხოლო იგი იყო ჭურჭელი რჩეული უმე-
ტესი ყოველთა; იგი იყო უმაღლეს მოციქულთა, წინასწარმეტყულებლთა
და ყოველთა წმიდათა, ვითარცა ადიდებს მას ეკლესია: « ჭეშმარიტად
უმაღლეს ხარ ყოველთა, წმიდაო ქაღწულო! და ამისთვს უმეტეს ყო-
ველთა დაიტე თვს შოკის მაღლი სულისა წმიდისა.

ყოვლად-წმიდა დაშთა საცხორებელად სახლსა წმიდა იოანე ღმთის-
მეტყულებლისასა იერუსალიმს, სიონის მთასა ზედა. თვთ იმა ყამითგან
ოდესცა უფალმან ჯვარდამ ჭრქუა მას: « დედაკაცო აჭა ძე შენი, » ხოლო
მოწათესა: « აჭა დედა შენი », საყვარელმან მოწათემან უფლისამან მიი-
ღო ყოვლად-წმიდა სახლსა შინა თვისსა და მსახურებდა მას. ვითარცა
თვისსა დედასა. შემდგომ სულის წმიდის მიღებისა მოციქულნი არს
მწკათულ წარვიდნენ სოფლად, არამედ კვლად გრძელ ყამ დაშთნენ იე-
რუსალიმს, ვითარცა წარმოგვიჩენს საქმე წმიდათა მოციქულთა. მუნ წე-
რილ-არს, რამეთუ შემდგომის ჰირველ მოწამის სტეფანის სიკუდრდისა
აღსდგა დეკნულება დიდი იერუსალიმის ეკლესიასა ზედა, და მასშინ ყო-
ველნი მოწმუნენი თვინიერ მოციქულთა განიშენეს მხარეთა ურჩისტა-
ნისა და სამარჩიისათა, ხოლო მოციქულნი, დაცულნი ძალითა ღმთისათა
დაშთნენ იერუსალიმსა შემდგომ ქრისტეს ამაღლებისა. მას ყამადმდე იყო

ათი უკუჩქ წელი, ოდეს ირადი მეფემან ხელი მიჭყო ძვირის ყოფად, რამელთამე ეკვლესიისაგანთა. განშორდნენ მოციქულნი მხოლოდ ყამი-ეჩად სხუათა მხარეთა: ესე იგი, პეტრე და იოანე სამაჩიასა; შემდგომ ერთი ოდენ პეტრე ღიდდის, სადაცა განჭკურნა ენეი, რამელიცა იგნებოდა რვა წელ სნეულებითა, შემდგომად მისა ეთიოპიას, სადაცა აღადგინა ტაბითე, კესაჩიას, სადაცა გორნილიონ ასისტავსა ნათელსცა და ანტიოხიას, სადაცა დაადგინა პირველი საყდაჩი თვისის განსანათლებულისა; ეგრეთვე იაკობ, ძმა იოანესი ვიდოდა ისპანიად. გაჩნა შემდგომ ყოველთა მოგზაურობათა, კვალად მოციქულთა იერუსალიმად, რათამცა უქადაგონ ტომთა ისრაილისათა ცხოვრებისა-თჳს და განამტკიცონ პირველი ეკვლესია, იერუსალიმისა, რამელიცა აჩს დედა ყოველთა სხუათა, ვითარცა უგალობს მას წმიდა იოანე დამასკელი. «იხარებდე შენ წმიდა სიონ, დედა ყოველსათა, სამკვიდრებულ ღუთისა, რამეთუ შენ პირველ მიიღე მოციქულები ცოდვითა;» და რადენ მისთჳს, რათამცა ხშირად იხილვიდენ ყოვლად-წმიდასა ქალწულსა მარიაშ და მოისმენდეს მისგან საღმრთოთა სიტყუათა, მას პატრიარქედენ იგინი, ვითარცა მოადგილეს უფლისა იესოს ქრისტესსა, ხედვიდენ რა ყოვლად ბრწყინვალესა პირსა მისსა, გამოიხატვიდნენ ხილვასა თჳთ მსხნელისასა. მოისმენდნენ რა მისგან სამაგალითოთა საღმრთოთა სიტყუათა, დასტკებოდნენ იგინი სიხარულითა სულიერითა და დაივიწყებდეს ყოველთა ვაებათა და განსაცდელთა თჳსთა. ესე ვითარითა განღვიძებითა, მრავალნი ახალგაზნათლებულთაგანი იერუსალიმად შორეთა მხარეთაგან მოვიდოდნენ, რათამცა იხილონ დედა ღუთისა და დასტკებს სმენითა წმიდათა საუბართა მისთასა, ვითარცა მსხნელისა; ეგრეთვე მისთჳსცა განეფინებოდა დიდება ყოველთა ვიდეთა ქრისტეანისა. და ჭსწეუროდათ ყოველთა ხილვა ქალწულისა, ვითარცა სჩანს წმიდის ეგნატე ღმერთ-შემოსილისა ეპისტოლესაგან, რამელმანცა ესრეთ მისწერა ანტიოხიით იოანე ღუთის მეტყუჩქლს: «მრავალთა დედათა აქუსთ სუკვილი, იხილონ ყოვლად-წმიდა ქალწული და შეახნეს ძუძუთა, მზღელთა უფლისა იესოსათა და ისმინონ მისგან

ს ი ა

« საქართველოს სასულიერო მახარებელთა » ხელის-მოძრაობის, შემდგომი ოკტომბრის თვისა. (*)

ტფილისში და მის უკუდში.

	ეჭყეშ.
85. სოფლის დიდების მღჳდელი ანტონ ჭ ი მ ი ნ ი	1.
სმოტრიტელი ტფილისის სასულიერო სასწავლებლისა გიორგი გრიგორისძე თ ი ნ ი გ ი	1.
მისი ბრწყინვალება თავადი მამუკა ო ჭ ბ ე ლ ი ა ნ ი	1.
სტაწში უჩიტელი ტფილისის გუბერნსკის ღიმნაზიისა, კოლეჟსკი სოკეტნიკი შაქარია სტეფანეს ძე ყ ა ჭ ღ ა ნ ო გ ი	1.
მღჳდელ-მონაზონი ტფილისის ფერისცვალების მონასტრისა კ ე ს ა ჭ ი ო ს	1.
90. თავადი დიმიტრი ივანეს ძე ა ბ ხ ა ზ ო გ ი	1.
ბაწბაწე ბაგრატის ასული ბატონიშვილი, კნეინა ო ჭ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა	1.
ტიტულარნი სოკეტნიკი სვიმონ იოსების ძე კ ო ბ ი ე კ ი	1.
სემინარიის უჩიტელი ჰაკლე ანდრეას ძე კ ო გ ო ო გ ი (რუს.)	1.
თავადი იასე ადამის ძე ა ნ ღ ო ნ ი გ ო გ ი	1.
ბეწმნის მღჳდელი წაღკაში აწისტრას თ ე ო ს ა ჭ ი (რუს.)	1.

(*) დასაწყისი იხილე ოკტომბრის წიგნში.

ბლადოჩინი, მცხეთის სობორის დეკანოზი ანდრია გუგუნიძე	12.
წინა-მძღუარნი იოანე ნათლისმცემელის უდაბნოსა, აწმინდნობის მსაკაცი	1.
ტფილ. კალაუბნის ეკლესიის დეკანოზი ვასილი ბარნოვი	1.

თელავის უესდში.

მღუდელი სვიმონ ჩახნაკვი	1.
100. თავადი ალექსანდრე ზაქარიაძე გავახიანიძე	1.
ბლადოჩინი, მღუდელი იოანე ინაკვი	1.
სმოტრიტელი თელავის სასულიერო სასწავლებელისა პეტრე ტაყაიანი	1.

სიღნაღის უესდში:

სმოტრიტელი უესდის სასწავლებელისა, ნადვარსი სოკეტნიკი იოანე დიმიტრის ძე თურქიშვილი	1.
---	----

გორის უესდში.

სმოტრიტელი გორის სასულიერო სასწავლებელისა იოანე ვასილის ძე შიტიკიანი	1.
ბლადოჩინი მღუდელი პეტრე გონიშვილი	3.
კნიაჟნა ნინა გიორგის ასული აშოლაშვილი	1.

აღდონის სტანიცაში:

ბლადოჩინი მღუდელი მიხაილ სუხიევი	1.
მღუდელი ხატიტონ ინიევი	1.
ბლადოჩინი მღუდელი ალექსი ალახვიანი (ნახევარი წლისა)	2.

ვლადიკავკასში:

110. ივანე ჰეტრეს ძე ბეჭიძე 1.

ღუძეთში:

ბლადოჩინი მღვდელი ივანე კეჭელი 4.

იძერეთში:

- სმოტრიტელი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა, გეგასიძე
სიმონის ძე კალანდარი-შვილი 1.
- წინამძღვარი მღვიმის მონასტრისა, იღუმენი სეკაზიანი 1.
- ბლადოჩინები მღვდლები: ლუკა ბახტაძე 3.
- — ბესარიონ ჩხენკელი 1.
- — რაყდენ გიგაურელი 8.
- — ივანე აბაშიძე 4.
- — სიმონ შიქიკვი 4.
- ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსი ივანე 1.

მინგრელიაში:

120. სმოტრიტელი მინგრელის სასულიერო სასწავლებლისა, ივანე
იაკობის ძე ჭიჭინაძე 1.

სუსუმკალეში:

ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე, ეპისკოპოსი აბსა-
ზეთისა 13.

წაქათალაში:

- ბლადოჩინი მღვდელი დიმიტრი გოგებელი 6.
123. მღვდელი სოლომონ გრიგორიკვი 1.

უწეება წიგნებისა-თჳს.

1. შალაღ-ყოკლაღ-უსამღჳდელოესის საქაწთჳსლოს ექსაწხოისის განკარგულებით იბეჭდება უ. ნამესტნიკის სტამბაში ქაწთულს ენაზედ: « ვრცელი კატეხიზმო მაწთლ-მაღიღებელის ეკლესიის საწმუნოებისა », და « შემოკლებული საღმწთო ისტოწიას ძველისა და ახლისა აღთქმისა ».
 2. იმავე სტამბაში და იმავე ენაზედ იბეჭდება « საღმწთო ისტოწიას ძველისა აღთქმისა », თაწგმნილი რ უ და კ რ კ ი ს რუსული ისტოწიიღგან დეკანოზის გრეგოლ ც ა შ ც ი ე კ ი ს-მიერ.
-

ს ი ტ ე უ ა

მაღალ-ყოვლად-უსამღჭედელთაჲსა საქარტუჭელთაჲს ექსარქოსისა, არხიეპისკოპოსისა ე კ ს ე კ ი ს ა, ღენერალ-ოტ-ინფანტერის და სენატორის, თავადის გიორგი იესეს ძის ერისთავის დასაფლავებაჲედ. (*)

«მოუძღურდა აბრამ ზ მოკუდა სიბერესა შინა კეთილსა, მოხუცებული სავსე ღლითა, ზ შეეძინა ერსა თჳსსა. ზ დაჭფლეს იგი ისაჲ ზ ისმაელ ორთა ძეთა მისთა ქუახსა შინა მრჩობლსა, რომელი მოიყიდა აბრამ ძეთაგან ქეცტესთა. მუნ დაჭფლეს აბრამ ზ სარრა ცოლი მისი» (შექმნ. თ. 25, მ. 8—10).

თუთ ძველისა საღმრთო წიგნისაგან არის ამოღებული მოთხრობა ესე სიკუდილისა და დაფლვისა-თჳს ერთისა ძველთაგანისა წმიდისა მამათ-მთავრისა, მორწმუნეთა მამისა, აბრამისა. « მოუძღურდა აბრამ და მოკუდა სიბერესა შინა კეთილსა, მოხუცებული სავსე ღლითა, და შეეძინა ერსა თჳსსა ».

უკეთუ რომელსამე განსვენებულსა შეეფერება მამს-

(*) თქმული ავტორისაგან რუსულად გორის მიძინების სობორში, 7 ნოემბერს 1863 წ.

გავსება ამა ძველისა მოთხრობისა: მაშა მდებარეს ამა ცხელასა ზედა ღრმად-მოხუცებულსა თავადსა გიორგის შეეფერება მიმსგავსება ამისა უმეტესად. ამისთვის რომელ განსკვნებულს ესე ნამდვილად მიიტყვას სიბერესა შინა, სასე დღითა: იცხორება-რა ქრისტესისა ზედა ერთი ოდენ საუკუნე, შორს გარდახდა იგი ჩვეულებრივსა საზღვარსა კაცის ცხორებისასა, რომლისა-თვის კვლად ძველადვე წარმოსთქვა კაცმან ღმთისამან: «ღდენი წელიწადთა კაცთანი სამეოც-და-ათ წელს, ხოლო უკეთეს ძლიერებასა შინა ოთხმეოც წელს» (ოთხ. 89, მ. 9), და გამოხატვისა-მებრ სიტყვისა ღმთისა, «შევიდა იგი სათვლავსა შინა ვითარცა იფქლი ზოხიერი, ყამსა თვისსა მომკიდრი» (იოხ. თ. 5, მ. 26).

და არა მხოლოდ სიბერესა შინა საზოგადოდ, არამედ სიბერესა შინა კეთილსა განვიდა მიტვალვებული ესე და შექმნა მამათა და ნათესავთა თვისთა. ამისთვის რომელ ვიდრე სიკრძალოდმდე დაიცვა ამან ხმა-რება ნიჭთა გონებისა თვისისათა და სრული განმგებლობა ძალთა სულისათა, ხოლო მიიტყვას შემოზღუდვილი შეილთა და შეილის-შვილთა, ჰატევემული და ამალვებული ყოვლითა ნიშნითა დიდებისა და ქებისათა, წარგზავნილი ყურადღებითა და კეთილითა მოგონებითა

ყოველთა თუთ ჩინებულთა და ჰატოისანთა ჰიწთაგან,
ანუ, უკეთესი ჯრს ვსთქუათ, ყოველთა და თუთოეულ-
თაგან დიდითგან ვიდრე მტირედმდე.

ხალა უკეთუ მოხუცებულობასა აქუს საზოგადოდ
ძალი და უფლება მოპოებად თაკისა თუხისადმი ჰა-
ტივციემისა ყოველთაგან და თითქმის უნებლიოდ დანერ-
გავს გულთა შინა ყოველთასა ყურად-ღებასა და ქებასა
თუხდაში: მაშა მოხუცებულობა კეთილი განსკენებულისა
უფროს ყოველთა აღგვიძრავს ჩუწნ უმაღლესისა ჰატი-
ვისა და ქებისადმი მისდა.

ესრეთ, სიტყუა ღუთისა სხვითა და სხვითა სახითა
და ლექსითა გვიბრძანებს ჩუწნ ჰატივის-ცემასა და ქება-
სა, ყურად-ღებასა და სმენასა, სიმდაბლესა და მოწი-
ლებასა მოხუცებულთასა. იგი ხან ცხადად და ჰიწ-და-
ჰიწ გვიბრძანებს ჩუწნ ყოველ-კვარსა კეთილ-მოწიწება-
სა მოხუცებულთადმი, და ხან აღგვიკრძალავს ყოველ-
გვარსა უჰატოვციემულობასა და განრისხებასა მოხუც-
თასა; ერთის მხრით, იგი გვაჩვენებს ჩუწნ მისაბაძავად,
მაგალითსა დიდისა ჰატივისციემისასა, ზე მეორეს მხრით,—
გასათრთხილებელად ჩუწნდა, წარმოგვიდგენს მაგალი-
თსა მოხუცებულთა უჰატოვციემულობისასა და რისხვასა
ღუთისასა მისთუხ. « წინაშე ჰიწსა მოხუცებულისა-

სა აღსდგე, და პატრიუ-ეც პირის მოხუცსა » (ლევიტ. თ. 19, მ. 32), იტყვის პირი ღმერთისა. « ჭახუკნი დაემორჩილენით მოხუცებულთა » (1 პეტრ. თ. 5, მ. 5); « მოხუცებულსა ნუ ჭრისსაკ » (1 ტიმოთ. თ. 5, მ. 1); « ნუ იქმნები დიდად მეტყველ შორის მოხუცებულთასა. » (ზიჩაქ. თ. 7, მ. 14), « ნუ განეშორები მოძღვრებასა მოხუცებულთასა » (ზიჩაქ. თ. 8, მ. 11). « შვილო, შეეწიე მოხუცებულბასა შინა მამასა შენსა, და ნუ შეურაცხყოფ კაცსა მოხუცებულბასა შინა მისსა » (ზიჩაქ. თ. 3, მ. 12, 8, 7). « გვირგვინი ქებისა — მოხუცებულბა » (იგავ. თ. 16, მ. 31); და « გვირგვინი მოხუცებულთა — შვილი შვილთა » (იგავ. 17, მ. 6). « შესაკრებელსა შორის მოხუცებულთასა აღსდგე » (ზიჩაქ. თ. 6, მ. 35) შორის ძმათა უმოხუცებულესი მათდა პატრიოსან არს » (თ. 10, მ. 24). « ღდეს მიხილვიდიან მე ჭახუკნი, იფარვიდიან, ხოლო მთავარნი ყოველნი აღმიდგებოდინ » . . . მთავარნი ისმენდენ ჩემსა გულის-ხმის-ყოფით », იტყვის თავისა თვისისა თვის მართალი და მრავალ-გნებული იობ (იობ. თ. 29, მ. 8, 21). « მოგიკლინოს შენ უფალმან კრი ურცხვინელი პირითა, წამელსა არა უკვირდეს პირი მოხუცებულისა » (მეორ. სჯულ. თ. 28, მ. 50), ეტყოდა უფალი მრისხანებით ძეთა

ისწილისათა, დარღვევისა-თჳს სჯულისა ღმრთისა. ანაჲ
შეიწივინათ ჩუჲნი არცა თმათაგან სპეტაკთა მოხუ-
ცებულთა მრავალწლოვანთა» (სიბრძ. სოლომ. თ. 2, მ.
10), ურცვინოდ და სასტიკად იტყვიან თავისა თჳსისა-
თჳს ამჴარტაკანნი უარის-მყოფელნი ღმრთაებრივისა და
გაცობრივისა სჯულისა. «მოხუცებულნი ჩემნი ქალაქსა
შინა მოაკლდენ, მოხუცებულნიცა ჩემნი ბჭეთაგან მოკ-
ლებულ იქმნენ » (გოდ. იერემ. თ. 1, მ. 19. თ. 5,
მ. 14), იტყოდან ღმრთი პირითა წინასწარმეტყუჲლ-
ისათა მოკლებისა-თჳს მოხუცებულთა შორის საყუარე-
ლისა ოდესმე ერისა ღმრთისა, ისწილისა. ანაჲ შეიწ-
ვივინეს მოხუცებულისა ანაჲ შეიწყალნეს მო-
ხუცებულნი» (ბარუქ. თ. 4, მ. 16, გოდ. იერემ. თ.
4, მ. 16), იტყვის საღმრთო წერილი სამხილებულად
მათდა, რომელნი ანაჲ პატრიუსტემენ მოხუცებულთა.

განა უფროს ყოვლისა სანუგეშო და სამომღმრე-
ბელ-ანაჲ ჩუჲნი-თჳს მოწმობა იოანე ღმრთის-მეტყუველის
გამოცხადებისა მყოფადისა მდგომარეობისა-თჳს ქრისტეს
ეკკლესიისა. რომელსა შინა ხან წარმოადგინების კ რ ა კ ი
ღმრთისა მდგომარე შორის მ მო ხ უ ც ე ბ უ ლ თ ა ს ა (*).

(*) ამ მუხლში ზ შემდგომში აც ნახსენები ბერძული სიტყუა:
πρεσβύτερος ქართულად უთარგმნიათ პირ-და-პირ მ ღ მ რ თ ა ღ .

და ხან იხსენებინ მონსტრებულნი განსკენებულად საყ-
დაწსა ქვეშე და შემომზღუდველად საყდრისა და კრ-
ვისა, რომელნი აღაკლენენ ძღვევისა გალობასა კრავისა-
დში და მიუძღვნიან მას დიდებასა და ქებასა დათრგუნ-
ვისა-თჳს ყოველთა მტერთა და მბრძოლთა წმიდისა ეკ-
კლესიისათა. • და ვინილუ, იტყვის მხილველი ღმერთისა
საიდუმლოთა, და აჴა ესერა შორის საყდართა და შო-
რის მონსტრებულთა კრავი მდგომარე (გამოცხ. თ. 5.
მ. 6). გარემოს საყდრისა საყდარნი ოცდა-ოთხნი, და
საყდართა მათ ზედა ვინილუ ოცდა-ოთხნი მონსტრებულ-
ნი შემოხილნი სამოსლითა სპეტაკითა, და თაჳთა ზე-
და მათთა გვირგვინი ოქროსანი (გამოცხ. თ. 4, მ. 4).
და ყოველნი ანგელოსნი ჴსდგეს გარემოს საყდრისა და
მონსტრებულთა, და დაუარდეს წინაშე საყდრისა მის ზირ-
თა ზედა მათთა, და თაჳვანისტეს ღმერთსა, და იტყო-
დეს: ამინ. კურთხევა, და დიდება, და სიბრძნე, და მა-

მაგრამ აქ არა აქუს ამ ბერძულს სიტყუას ეს მნიშვნელობა, რო-
გორც ვინილეთ ლათინურის, ფრანციცულის და სლავენურის ამ
მუნღობის თარგმანებისაგან; და თჳთ ეს ბერძული სიტყუაცა:
πρεσβυτερος არა ნიშნავს ყოველთჳს მღჳღეოსა, არამედ ზოგ-
ჯერ აღნიშნავს მხოლოდ მონსტრებულსა. ამისთჳს ჩუწნც
ამის მსგავსად გავასწორეთ აქ ეს სიტყუა.

მთარგმნ.

დღობა, ჰატივი, და ძალი, და სემტიკიჯე ღუთისა ჩჷწ-
ნისა უკუნითი უკუნისამდე, ამინ (გამოცხ. თ. 7, მ.
11. 12).

მივხედავთ რა, შემდგომად ამისა, ცხოვრებასა და სამ-
სახურსა, ღვაწლთა და საქმეთა განსკეიბულისა თავა-
დისათა, ცხადად ვიხილავთ ჩჷწნ, რომელ მოხუცებუ-
ლობა მასი იყო ჭეშმარიტად კეთილი და ზედმიწევნი-
ლი, დიდებული და ღირს-ჰატივცემული; და ესე მიხ-
თვს, რომელ იგი შესდგა და შემზადდა ცხოვრებითა
შრომიანითა და სასარგებლოდთა, სამსახურითა ერთგუ-
ლითა და ჰატიოსნითა, ზნეობითა კეთილითა და მშვი-
დობიანითა, ქცევითა მოუწყასთა თანა ღირსითა და კე-
თილ-შობილურითა.

ჭეშმარიტად, რა მხრითაც უნდა მივხედოთ ღრმად-
მოხუცებულსა ამას განსკეიბულსა, რა შემთხვევასშიც უნ-
და განვიხილოთ ცხოვრება და მოქმედება მისი, ყოველ-
გან ვიხილავთ მას შინა კაცსა გონებისა და რჩევი-
სასა, ძალისა და სიმხნისასა.—ვიხილავთ მშვენიერსა
და კეთილ-შობილსა მოქალაქესა, ჭეშმარიტსა მართლ-
მადიდებელსა ქრისტიანსა, მხნესა და უშიშარსა მხედარ-
სა, კეთილ მმართველსა ძლევა-შემოსილსა მხედართ-მთა-
კარსა, მზრუნველსა სულ-კეთილსა მამასა, ბრძენსა მას-

წაკლეს, და კეთილ საიმედოს ხელთ-მძღვანელსა.

გამოჩენილი და ამაღლებული წარმოებითა, შემკული მდიდრად ნაჭითა ბუნებისათა—ძალითა სულიერითა და ხორციელითა, განსკვნებული თავადი სიჭაბუკესა შინა თვისსა ჰესტოსნად და ჩინებულად მსახურებასა სასახლესა შინა საქართველოს მეფეთა, რომელთა ჭსტეს და ჰესტი-გისტეს მას შინა შესანიშნავთა თვისებათა ღ ღირსებათა მეფის კარის კაცისა და ერთ-გულისა ქვეშევრდომისათა.

წასრულის საუკუნეს განმავლობაში, განსკვნებულმა თავადმა ძლიერითა და მხიარულობით-აღტაცებულთა სიტყვითა მიულოცა გიორგი მეფესა მიღება რუსეთის იმპერატორისაგან სამეფო კუთვნილებისა. მაღლად და ცხადად ისმის ამ შესხმაში შეილებრივი სიუწარული სამშობლოდსა ქუჭენისა და მართლ-მადიდებელისა ეკკლესიისადმი, და ერთგული სიუწარული, მინდობა, მოჩილება და კეთილ-მოწიწება საქართველოს მეფისა და რუსეთის გვირგვინოსანისა ხელმწიფისადმი.

შემდგომად ამისა, ამ საუკუნეს პირველსავე წელსა, განსკვნებული თავადი, ვითარცა უუღირსესი შვილი საქართველოდსა, გაიგზავნა საქართველოს ერისგან დეპუტატად რუსეთის ხელმწიფის სასახლეში, რათა მასთანა, და, ესრეთ ვსთქვათ, გარდასცეს საქართვე-

ლო სულგრძელსა მცველობასა და ძლიერსა მოაკრელო-
ბასა მართლ-მადიდებელისა რუსეთისასა. და კეთილ-სუ-
ლიერმან თვთ-მპყრობელმან რუსეთისამან, პატრიკ-საცე-
მელად მას შინა გამგზავნელისა მის ქუჩუნისა, დღესა-
ვე დაგვირგვინებისა თვისისა რუსეთის სამეფოსა ზედა,
კეთილ-ინება და უბოძა თავადსა-დეპუტატსა ერთი უმა-
ღლესთა რუსეთის იმპერიის სამოქალაქოთა ჩინთაგანი.

მაგრამ დიდ-ხანს არა ჰქონია განსვენებულსა სამო-
ქალაქო ჩინი. მალე მიიღო მან მმართველობასა ქვეშე
თვისსა პოლკი ლინიაზედ, და შესათერი ამ თანამდებო-
ბისა ჩინი სამხედრო. ხოლო შემდგომად ამისა მსწრა-
ფლად განურცელდა და ამადღა ზღუდე მისისა მთავ-
რობისა და მოქმედებისა სარბიელსა ზედა მხედრობი-
სასა. და მალე დაამტკიცა მხნემან და ახოვანმან თავად-
მან, რომელ არა უბრალოდ მიუღია მას წოდება მხე-
დაწო-მძღვანელობისა. სხუათა და სხუათა საქმეთა და
ადგილებთა შინა კავკასიისათა—ცხადად და საკვირველად
გამოაჩინა მან თავის მხნეობა და უმ. შრომება, მხედ-
რობრივი სიმაგრე და მხედარო-მთავრულა განკარგუ-
ლება. ჩეჩქესთა და ჩაჩანთა, ჭარობელაკნელთა და აღ-
შოფოთებულთა კახელთა მრავალ-გზის გამოსცადეს თავ-

თა ზედა თხსთა ძალი მკლავისა, და პირი მახვილისა განსკენებულის თავადისა.

ხოლო გვირგვინად მხედრულისა დიდებისა და უშიშარისა მხნეობისა, ადგილობის და მტრის ჯარის ხასიათის და მცბიერობის ცნობისა სპარსეთის ომიანობის დროს, იყო მოულოდებელი და წინასწარ-მოუთქვამელი ალბა განსკენებულის თავადისაგან ერთისა უმთავრესისა მტრის სამეფოს ქალაქთაგანისა. მცირედითა ჯარითა, გაჩნა შეწყენითა ღმერთისათა და საშუალობითა ერთისა მხოლოდ გაბედვისა და დაუყოვნებლად მოქმედებისათა, ერთისა ჭეშმარიტად გამარჯვებისა წინათხილვისათა და წინააღმდეგ ყოველ-გვარისა ჩუქულებრივისა თუქრისა მაშინდელისა დიდად-გამოცდილისა მხედართ-მთავრისათა, ახლანდელ თავადმან გიორგიმ უეცრად დაიპყრა ქალაქი თავრიზი და მით დიდად შეეწია ომიანობის გათავებასა და ჩინებულის მშვიდობის მოხდენასა.

